საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგია და 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა

მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი სისტემის ჩარჩო

თბილისი, საქართველო

2017

საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის და 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების ერთიანი სისტემის ჩარჩო მომზადდა ევროკავშირის ფარგლებში დაფინანსებული სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) პროექტის „საქართველოს სოფლის განვითარების მხარდაჭერა“ დახმარებით, რომელსაც ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP).

მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი სისტემის ჩარჩო

შინაარსი

შესავალი 1

1. მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი სისტემის ჩარჩოს მიზანი და ამოცანები 2

2. მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი სისტემის ჩარჩო 3

2.1. ჩარჩოს ლოგიკა 3

2.1.1. პრიორიტეტული სფერო 1: ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა 4

2.1.2. პრიორიტეტული სფერო 2: სოციალური პირობები და ცხოვრების დონე 6

2.1.3. პრიორიტეტული სფერო 3: გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა 9

3. სოფლის განვითარების 2018-2020 წწ. სამოქმედო გეგმის ბენეფიციარებზე გავლენის შეფასება13

4. სოფლის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი 13

4.1. მონიტორინგი: მიდგომა და პრინციპები 14

4.1.1. ინდიკატორის დონეები 14

4.1.2. ინდიკატორების კლასიფიკაცია 14

4.2. ინდიკატორის მონიტორინგის გეგმა 15

4.2.1. ინდიკატორის აღწერა 15

4.2.2. გაზომვის ერთეული 15

4.2.3. დისაგრიგაცია/ჩაშლა 15

4.2.4. მონაცემთა წყარო 15

4.2.5. მონაცემების შეგროვების მეთოდი 16

4.2.6. მონაცემთა შეგროვების სიხშირე 16

4.2.7. ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი/უწყება 16

4.3. ინდიკატორის საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლების გეგმა 16

4.4. მონაცემთა ხარისხი 17

4.5. სოფლის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის 6 თვის, წლიური და საბოლოო ანგარიში 17

4.6. შესრულების ინდიკატორის ჩარჩო 19

5. სოფლის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შეფასების გეგმა 22

5.1. მიზანი და ამოცანები 22

5.2. ხელმძღვანელობა და კოორდინაცია 23

5.3. შეფასების ღონისძიებები 23

5.4. სოფლის განვითარების სტრატეგიის შეფასებების ჩატარების ვადა 25
5.5. საზოგადოებასთან ურთიერთობა - კომუნიკაცია 26
6. მონიტორინგისა და შეფასების განხორციელებაზე პასუხისმგებლობა 26
6.1. პასუხისმგებელი სამინისტროები და უწყებები 27
6.2. პასუხისმგებელი უწყებები და ორგანოები 27
7. სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა (ENPARD Georgia III) - საბიუჯეტო დახმარება 28
დანართები: 32
დანართი 1. სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის 2018-2020 წლების ლოგიკური ჩარჩო 32
დანართი 2.ამოცანის ინდიკატორის აღწერა 33
დანართი 3. ინდიკატორის მონიტორინგის გეგმა (ელექტრონული მონაცემთა ბაზისთვის) 34
დანართი 4. ინდიკატორის საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლების გეგმა (ელექტრონული მონაცემთა ბაზისთვის) 35
დანართი 5. ინდიკატორის საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლების გეგმა (შეფასებისინდიკატორების კონკრეტული შეფასების გეგმისთვის) 36
დანართი 6. ბენეფიციარის ფორმა 37
დანართი 7. 6 თვის ანგარიშის ფორმა 38
დანართი 8. წლიური ანგარიშის ფორმა 42
დანართი 9. საბოლოო ანგარიშის ფორმა 43
დანართი 10. საინფორმაციო ფურცელი 44
დანართი 11. ინდიკატორის ცვლილება 45
დანართი 12. შესრულების ინდიკატორის ჩარჩო (ევროპული გამოცდილება) 46
დანართი 13: ევროკავშირის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD Georgia III) ლოგიკური ჩარჩო 48

შესავალი

საქართველოს მთავრობამ 2016 წელს შეიმუშავა სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგია და 2017 წლის დეტალური სამოქმედო გეგმა, რომელის გახორციელებასაც კოორდინაციას უწევს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. სოფლის განვითარების სტრატეგია **მიზნად** ისახავს საქართველოს სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის და სოციალური მდგომარეობის მუდმივი ზრდის უზრუნველყოფას, რომელიც დაეფუძნება მრავალფეროვან ეკონომიკურ შესაძლებლობებს, ხელმისაწვდომ სოციალურ სიკეთეებს, მდიდარ კულტურულ ცხოვრებას, გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვას. სტრატეგიის ხედვის განხორციელებისთვის განისაზღვრა რამდენიმე პრიორიტეტული ღონისძიება, ამოცანა და 2017 წლის სამოქმედო გეგმა.

საქართველოს სოფლის განვითარების 4 წლიანი სტრატეგია არის ახალი პოლიტიკის, ახალი დღის წესრიგის შემოტანა სოფლის განვითარების ახალი ხედვის დამკვიდრებაში, რომ სოფელი მოაზრებოდეს არა მხოლოდ როგორც სასოფლოს-სამეურნეო საქმიანობების განხორციელების ადგილად, არამედ როგორც არასასოფლო-სამეურნეო, სოციალური, კულტურული და ა.შ. განვითარების სივრცედ. სოფლის განვითარების ახალი მიდგომა აერთიანებს სხვადასხვა დარგობრივი თუ სექტორული მიმართულებების განვითარებას სოფლად მცხოვრები მოქალაქეებისთვის უკეთესი საცხოვრებელი და საარსებო გარემოს შექმნისთვის. სოფლის განვითარების სტრატეგია გვთავაზობს საქართველოს სოფლების განვითარება დავინახოთ ჰოლისტურად. ევროკავშირი 2000 წლიდან ახორციელებს სოფლის განვითარების პოლიტიკას, სადაც დეტალურად არის განსაზღვრული სოფლის განვითარების პოლიტიკის მონიტორინგის და შეფასების ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავს ზეგავლენის, საბოლოო და შუალედური შედეგების ინდიკატორებს სამიზნე ინდიკატორებთან ერთად, რათა ნათლად გამოჩნდეს პოლიტიკის განხორციელების შედეგები, მიღწევები, ასევე თუ რა უნდა გაუმჯობესდეს ახალი პოლიტიკის დიზაინისა და დაგეგმარების დროს.

სოფლის განვითარების პროცესის მაკოორდინირებელ ორგანოდ განისაზღვრა უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილის თავმჯდომარეობით. საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის დოკუმენტის შემადგენელია ნაწილია მონიტორინგი და შეფასება. მონიტორინგის და შეფასების ერთიანი სისტემის ჩარჩომ უნდა უზრუნველყოფს სტრატეგიის და სამოქმედო გეგმაში გაწერილი მიზნის, ამოცანებისა და შედეგების განხორციელებაზე მეთვალყურეობა, შეფასება, არსებული გამოწვევების და შეფერხებების დროული გამოვლენა სწორი, დროული და მიზანმიმართული გადაწყვეტილებების მისაღებად. ასევე, ჩარჩოს მიზანია შეაფასოს რამდენად განაპირობა სამოქმედო გეგმაში გაწერილმა საქმიანობებმა პრიორიტეტების, ამოცანების და საბოლოო მიზნის მიღწევა და სწორად იყო თუ არა შერჩეული ღონისძიებები, სასურველი შედეგის და ცვლილების დადგომისთვის. მონიტორინგის და შეფასების ერთიანი სისტემის ჩარჩო არის სახელმძღვანელო დოკუმენტი სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებებისათვის.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წლის 27 ივნისს ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-10 თავის - „სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება“ თანახმად, საქართველომ უნდა უზრუნველყოს სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარება ევროკავშირის პოლიტიკის და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად და დაუახლოვოს საქართველოს კანონმდებლობა ევროპულს, ასევე, ხელი შეუწყოს როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი

ხელისუფლების შესაძლებლობების გაძლიერებას, რათა პოლიტიკის დაგეგმვა და შეფასება შეესაბამებოდეს ევროპულ ნორმებს. "მხარეები ითანამშრომლებენ, რათა ხელი შეუწყონ სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებას, კერძოდ, პოლიტიკისა და კანონმდებლობის თანმიმდევრული დაახლოების გზით" (ასოცირების შეთანხმება, მუხლი 333)[1].

1. მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი სისტემის ჩარჩოს მიზანი და ამოცანები

მონიტორინგი და შეფასება, პროცესის ორი განსხვავებული გზაა, რომელიც სტრატეგიის, პროგრამის თუ პროექტის გაზომვა/შეფასებაში გვეხმარება, იმის დადგენაში თუ რამდენად შედეგზე ორიენტირებულია გაწერილი ღონისძიებები და რა უნდა გაკეთდეს დასახული მიზნის მიღწევისთვის. მონიტორინგის და შეფასების შედეგები არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ინფორმაცია მიაწოდო გადწყვეტილებების მიმღებებს მტკიცებულებაზე-დაფუძნებული გადაწყვეტიელებების მისაღებად, პოლიტიკის გასაზომად და თუ რამდენად ეფექტურად დაიხარჯა საბიუჯეტო ფინანსები.

ქვემოთ იხილეთ გრაფიკული გამოსახულება მონიტორინგის და შეფასების შესახებ:



მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი სისტემის ჩარჩოს მიზანია შეამოწმოს თუ რამდენად თანხვედრაშია განხორციელებული პოლიტიკა და ინიციატივები გაწერილ მიზნებსა და ამოცანებთან და განსაზღვროს რეკომენდაციები თუ რა შეიძლება გაკეთდეს უკეთესად. შესაბამისად, მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი სისტემის ამოცანებია[2]:

- დროულად და არსებული გარემოებიდან გამომდინარე, შესაბამისი რჩევა მიაწოდოს გადაწყვეტილებების მიმღებებს და უზრუნველყოს პოლიტიკური პრიორიტეტების განსაზღვრისთვის საჭირო ინფორმაციით.
- განსაზღვროს რამდენად მოხდა პოლიტიკის (სტრატეგიის განხორიელების) შედეგების მიღწევა პრიორიტეტების, ამოცანებისა და შუალედური შედეგების დონეებზე.

[1]საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგია, 2017 წლის სამოქმედო გეგმა.
[2]Technical Handbook on the Monitoring and Evaluation Framework of the Common Agricultural Policy 2014-2020

- გააუმჯობესოს ინსტიტუციური განვითარება, შეფასების შედეგები შეიძლება კარგი საშუალება აღმოჩნდეს მიმდინარე ღონისძიებების, პოლიტიკის დიზაინის განსაზღვრის და განხორციელების ხარისხის შეფასების დროს.
- გააუმჯობესოს ლეგიტიმურობა, გამჭირვალობა, ანგარიშვალდებულება და დამატებითი ღირებულება შესძინოს მთავრობის მიერ განხორციელებულ ქმედებას.
- უზრუნველყოს რესურსების ეფექტიანი განაწილება განსახორციელებელ ინიციატივებს, სპეციფიურ პროგრამას ან აქტივობას ან აქტივობებს შორის.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი სისტემის ჩარჩოს ფუნქციებია:

- განმარტოს როგორ აპირებს უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, კერძოდ კი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტის დახმარებით სამოქმედო გეგმაში აღწერილი აქტივობების მონიტორინგს; ასევე, იმის განსაზღვრას მიღწეულ იქნა თუ არა დასახული მიზნები და ამოცანები; მოგვიანებით კი, ინსტრუმენტის მეშვეობით სტრატეგიის აქტუალურობის, ეფექტურობის, ეფექტიანობის, განხორციელების, ზემოქმედების და მდგრადობის გაზომვას და შეფასებას.
- იყოს გზამკლევი სამოქმედო გეგმის განმახორციელებელი უწყებებისთვის და მენეჯმენტისთვის (საქართველოს მთავრობა, უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, და სხვა დაინტერესებული მხარეები), რათა მათ განსაზღვრონ თუ რა არის მათი როლი პრიორიტეტებისა და ამოცანების შესრულების დროს და გააცნობიერონ ამოცანების წარმატებით შესრულებაში მათი მონაწილეობის მნიშვნელობა.
- სამოქმედო გეგმის შესრულების დროს გამოწვევებისა და პრობლემების არსებობის შემთხვევაში განსაზღვროს თუ როგორ მოხდება ინფორმაციის მიწოდება სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის პასუხისმგებელი უწყებებისთვის, დაინტერესებული მხარეებისთვის და საჭიროების შემთხვევაში სამოქმედო გეგმაში შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები.

2. მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი სისტემის ჩარჩო

2.1. ჩარჩოს ლოგიკა

სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის ხედვაა საქართველოს სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის და სოციალური მდგომარეობის მუდმივი ზრდის უზრუნველყოფა, რომელიც დაეფუძნება მრავალფეროვან ეკონომიკურ შესაძლებლობებს, ხელმისაწვდომ სოციალურ სიკეთეებს, მდიდარ კულტურულ ცხოვრებას, გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვას.

სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებებია: 1. ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა; 2. სოციალური პირობები და ცხოვრების დონე; 3. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა.

სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების ერთიანი სისტემის ჩარჩოს ლოგიკური მოდელი გამოხატავს თუ როგორ უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმაში განხორციელებული აქტივობები მიზნისა და პრიორიტეტული მიმართულებების შესრულებას.

აღსანიშნავია, რომ სოფლის განვითარების 2017-2020 წლების და 2017 წლის სამოქმედო გეგმა შემოიფარგლება აქტივობის ინდიკატორების განსაზღვრით და არ გვთავაზობს ამოცანის დონის ინდიკატორებს, რომელთა მიღწევა დაადასტურებს სამოქმედო გეგმის აქტივობების განხორციელების მიზანშეწონილობას. შესაბამისად, უწყებათაშორისმა საბჭომ შეიმუშავა ინდიკატორები 2018-2020 წწ. სამოქმედო გეგმისათვის ამოცანების მიღწევის გასაზომად, რაც უფრო გამჭვირვალეს გახდის სამოქმედო გეგმის განხორციელების წარმატებულობის შეფასებას. სოფლის განვითარების სტრატეგიის მონიტორინგის და შეფასების ლოგიკური ჩარჩო *(დანართი 1)* გვთავაზობს ამოცანების ინდიკატორებს.

შენიშვნა: პრაქტიკაში, ლოგიკური ჩარჩო, როგორც წესი, იყენებს შემდეგ ტერმინოლოგიას - საერთო მიზანი, შედეგი, შუალედური შედეგი (მყისიერი შედეგი) და აქტივობა,რაც ექვივალენტურია სოფლის განვითარების სტრატეგიაში[3] გამოყენებული ტერმინოლოგიის - ხედვა, პრიორიტეტული სფერო, ამოცანა და აქტივობა. ტერმინილოგიური გაურკვევლობის თავიდან არიდების მიზნით, მონიტორინგის და შეფასების ერთიანი სისტემის ჩარჩო იხელმძღვანელებს სტრატეგიაში მითითებული ტერმინებით. ლოგიკურ ჩარჩოში კი *(დანართი 1)* მითითებული იქნება ორივე დასახელება.

2.1.1. პრიორიტეტული სფერო 1: ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა

ზოგადი აღწერა

პრიორიტეტული სფერო 1: ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა სამი ამოცანის მიღწევით შეეცდება საბოლოო მიზნის და ამოცანის შესრულებას:

1. ფერმერული საქმიანობის ეკონომიკური გაჯანსაღება, რესტრუქტურირება და მოდერნიზაცია დივერსიფიკაციისა და ეფექტიანი მიწოდების ჯაჭვის განვითარების მეშვეობით.
2. სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაცია სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ღირებულებათა ჯაჭვის გაძლიერებით და მდგრადი არასასოფლო-სამეურნეო მიმართულებების განვითარების საშუალებით.
3. სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება სოფლის სპეციფიკისა და უნიკალური კულტურული იდენტობის საფუძველზე.

სოფლის განვითარების ***პირველი პრიორიტეტული სფერო*** აქცენტს აკეთებს სასოფლო და არასასოფლო სამეურნეო საწარმოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე, რათა ხელი შეეწყოს ახალი ბიზნეს საქმიანობების ჩამოყალიბებას, პროდუქციის საწარმოო პოტენციალისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის ხელსაყრელი გარემოს უზრუნველყოფას. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია აქტივობების განხორციელების შედეგად მოსალოდნელი შედეგები:

ამოცანა 1	ამოცანა 2	ამოცანა 3
70 ახალი/არსებული სასოფლო-სამეურნეო საწარმო შექმნა, გადაირაღება და მოდერნიზება	***24*** ახალი/არსებული არასასოფლო-სამეურნეო საწარმოს შექმნა გაფართოება	***15*** ახალი ან არსებული სასტუმროს შექმნა და გაფართოება

[3]პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელო, საქართველოს მთავრობა, 2016 - გვ. 12-15

126 კოოპერატივის ტექნიკური მხარდაჭერა		***ტურისტული პროდუქტებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების*** შექმნა/განხორციელება
2300 მეპაიესა და ფერმერის გადამზადება ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევები დაუფლების მიზნით		***45*** კულტურული ღონისძიების ორგანიზება 30 მუნიციპალიტეტში
69,600 ჰექტარზე მეტი მიწის გასარწყავიანება		***3600*** ბენეფიციარის გადამზადება
		120 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის აღდგენა

პრიორტეტული სფეროს ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებებია: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მასთან ასოცირებული უწყებები - ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“, სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“, შპს „საქართველოს მელიორაცია“; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს - სსიპ „აწარმოე საქართველოში“, სსიპ „საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია“; საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო - სსიპ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო“.

პრიორიტეტული სფეროს ძირითადი საქმიანობებია:

- ახალი ან არსებული სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო საწარმოების შექმნა, გადაიარაღება, მოდერნიზება და საჭირო ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვა
- საერთაშორისო სტანდარტების, საწარმოო ციკლის, თანამედროვე ტიპის წარმოების მეთოდიკის დანერგვა და საერთაშორისო სავაჭრო ნიშნის რეგისტრაცია-ბრენდირება
- სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების ათვისება და მელიორაციისა და ირიგაციის გაუმჯობესება
- მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა
- ახალი ტურისტული პროდუქტების შექმნა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა
- ინფრასტრუქტურის აღდგენა და გაუმჯობესება.

ამოცანის აღწერა

განხორციელებული აქტივობების საფუძველზე 2018-2020 წლებში სულ მცირე 1290 ბენეფიციარმა განახორციელა ინვესტიცია, მელიორირებული ფართობი გაზრდილია 15%-ით, სულ მცირე 24 არასასოფლო-სამეურნეო საწარმომ განახორციელა ინვესტიცია და სულ მცირე 135 ტურისტულ პროდუქტსა და ინფრასტრუქტურაში განხორციელდა ინვესტირება (ტურისტული ინფრასტრუქტურა მათ შორის მოიცავს: სასტუმროს და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს). ამოცანისმიღწევის დროს ყურადღება მიექცევა ისეთ საკითხებს, როგორიცაა გენდერი, ახალგაზრდები და სოციალურად მოწყვლადი და სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ჩართულობას.ამოცანის ინდიკატორების დეტალური აღწერა იხილეთ *დანართი 2.*

აქტივობების აღწერა

პრიორიტეტული მიმართულების ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა აქტივობების განხორციელების შედეგად:

- გაფართოებული, გადაიარაღებული და მოდერნიზებულია ახალი და არსებულისასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო საწარმოები
- გაზრდილია სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების არეალი
- გაზრდილია სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიმართულებით დასაქმების შესაძლებლობები
- დაფინანსებულია ახალგაზრდა მეწარმეები
- სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში დანერგილია HACCP/ISO 22000 სტანდარტები, დანერგილი თანამედროვე ტიპის წარმოების მეთოდიკა და ერთიანი საწარმოო ციკლი
- აღჭურვილიდა გადაიარაღებულია კოოპერატივები
- ჩატარებულია 8 ადგილობრივი გამოფენა-გაყიდვა
- განხორციელდა საწარმოებში სავაჭრო ნიშნის რეგისტრაცია-ბრენდირება და დანერგილია სტანდარტიზაციის პროცესი
- დარგობრივი მიმართულებით ტრენინგები ჩაუტარდათ მეპაიეებს ცოდნის და უნარ-ჩვევები ამაღლების მიზნით
- გაზრდილია სარწყავი წლის მიწოდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე
- შეიქმნა და განხორციელდა ტურისტული პროდუქტები და ინფრასტრუქტურა
- აღდგენილია კულტურის ძეგლები და ჩატარებულია სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები მუნიციპალიტეტებში.

დეტალურად პრიორიტეტის, ამოცანის და აქტივობის საფუძველზე გაწერილი შუალედური/მყისიერი ინდიკატორების შესახებ იხილეთ ინდიკატორის მონიტორინგის გეგმა *(დანართი 3).*

შენიშვნა: *ახლანდელ სამოქმედო გეგმაში აქტივობის გასწვრივ ხშირ შემთხვევაში შესრულების (results) ინდიკატორებია გაწერილი. სამომავლოდ რეკომენდებულია, აქტივობების მიხედვით გაიწეროს ასევე შუალედური/მყისიერი (output) ინდიკატორები. თუმცა, ეს საკითხი უნდა გადაწყდეს კოორდინირებულად BDD-ის ჩარჩოსა და მთავრობის მონიტორინგის განახლებულ სახელმძღვანელოს მოთხოვნების შესაბამისად.*

2.1.2. პრიორიტეტული სფერო 2: სოციალური პირობები და ცხოვრების დონე

ზოგადი აღწერა

პრიორიტეტული სფერო 2: სოციალური პირობები და ცხოვრების დონე მოიცავს სამ ამოცანას საბოლოო მიზნის და ამოცანის მიღწევის გზაზე, ესენია:

1. ცნობიერების ამაღლება ინოვაციების და მეწარმეობის მიმართულებით. ასევე, თანამშრომლობის წახალისება უნარ-ჩვევების განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობით (განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და ქალებისათვის).
2. ინფრასტრუქტურა და სერვისები. სოფლის ძირითადი ინფრასტრუქტურის (მათ შორის კულტურულ მემკვიდრეობების ძეგლებამდე მიმავალი გზებისა და შესაბამისი

ინფრასტრუქტურის) გაუმჯობესება და ხარისხიანი სახელმწიფო სერვისებით სარგებლობის ხელმისაწვდომობა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჩათვლით.

3. ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა. სოფლის მოსახლეობის (განსაკუთრებით ქალებისა და ახალგაზრდების) ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მათი გადაწყვეტის გზების განსაზღვრაში.

სოფლის განვითარების ***მეორე პრიოტეტული სფერო*** ყურადღებას ამახვილებს ცნობიერების ამაღლებაზე ინოვაციებისა და მეწარმეობის მიმართულებით, განსაკუთრებით ახალგაზრდებსა და ქალებში. დამატებით, მეორე პრიორიტეტული სფერო უზრუნველყოფს სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის გაუმჯობესების შესაძლებლობებს, ასევე სოციალურად მოწყვლადი ჯგუფებისთვის ქმნის ცნობიერების ამაღლებისა და უნარ-ჩვევების გაუმჯობესების კუთხით ხელმისაწვდომ გარემოს, რათა გაიზარდოს სამომავლოდ დასაქმების პერსპექტივები. გარდა ამისა, სოციალური პირობების და ცხოვრების დონის გაუმჯობესებისთვის იგეგმება მასშტაბური ინფრასტრუქტურული და სერვისების მიწოდებაზე ორიენტირებული პროექტები, რათა ადგილობრივმა მოსახლეობას გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურის მეშვეობით მიიღოს სათანადო სერვისები.

<table>
<tr><th>ამოცანა 1</th><th>ამოცანა 2</th><th>ამოცანა 3</th></tr>
<tr><td>4350 ბენეფიციარს გაეზრდება ფართოზოლოვან ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა</td><td>აღადგინოს და აღჭურვოს 1050 საჯარო სკოლა და ააშენოს ახალი 41 დიდ და მცირე კონტიგენიანი საჯარო სკოლა</td><td rowspan="7">8 საზოგადოებრივი ჯგუფის ინიციატივები კონსოლიდირებული იქნება და სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განახლების პროცესში გამოყენებული იქნება გამოცდილებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მისაღებად.</td></tr>
<tr><td>5700 ბენეფიციარი გადამზადდება კომპიუტერულ წიგნიერებასა და მონაწილეობას მიიღებს ინოვაციების შესახებ კონკურსში</td><td>სამ მუნიციპალიტეტში გაიხსნას 3 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება</td></tr>
<tr><td>შეიქმნება 5 ინოვაციის ცენტრი და 3 ინოვაციის ჰაბი</td><td>27000 საჯარო სკოლის მოსწავლემ მიიღოს საზაფხულო სკოლის მომსახურება და 60000 მოსწავლე ჩაერთვება „თავისუფალ გაკვეთილებში“</td></tr>
<tr><td>10 200 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი გაიუმჯობესებს სახელმწიფო ენის ცოდნას</td><td>27 000-ზე მეტ აბონენტს მიეცეს საშუალება ჩაერთოს ბუნებრივი აირის ქსელში</td></tr>
<tr><td>44 500 ახალგაზრდა მონაწილეობას მიიღებს ახალგაზრდულ აქტივობებსა და ბანაკებში</td><td>გაუმჯობესდეს სპორტული ინფრასტრუქტურა</td></tr>
<tr><td rowspan="2">1000 სამუშაოს მაძიებელი გადამზადდება რეგიონებში პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით</td><td>აშენდეს 8 იუსტიციის სახლი და სრული დატვირთვით იფუნქციონირებს 15 საზოგადოებრივი ცენტრი</td></tr>
<tr><td>750 დევნილი ოჯახი და 270 ეკომიგრანტი ოჯახი უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოთი</td></tr>
</table>

პრიორტეტული სფეროს ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებებია: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - სსიპ „საქართველოს ინოვაციებისა და

ტექნოლოგიების სააგენტო“; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - სსიპ „სოციალურ მომსახურების სააგენტო“; საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო - სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“; სსიპ „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო - სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“, სსიპ „იუსტიციის სახლი“; საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, სსიპ „საქართველოს ეროვნული არქივი“, სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“.

პრიორიტეტული სფეროსძირითადი ღონისძიებებია:

- ცნობიერების ამაღლების და უნარ-ჩვევების განვითარებისა და დასაქმების მიმართულებით ტრენინგების ჩატარება ინოვაციების, მეწარმეობის, ელექტრონული კომერციის და ა.შ. საკითხებში
- ეთნიკურ უმცირესობებში სახელმწიფო ენის ცოდნის ამაღლება
- სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება - გაზი, წყალი, გზები, იუსტიციის სახლები, საზოგადოებრივი ცენტრები, ინტერნეტ-საკომუნიკაციო ქსელების მოწყობა, სკოლების რეაბილიტაცია და მშენებლობა, პროფესიული საგანმანათლებლო ცენტრების გახსნა, სპორტული მოედნების მოწყობა, სპორტული აღჭურვილობით უზრუნველყოფა, საბავშვო ბაღების აღდგენა/მშენებლობა.
- დევნილებისა და ეკომიგრანტებისთვის სახლების შესყიდვა/გადაცემა
- ახალგაზრდული აქტივობების განხორციელება და ბანაკებში მონაწილეობა
- სანოტარო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და რეგიონული არქივების აშენება/შეკეთება.

ამოცანის აღწერა

განხორციელებული აქტივობების საფუძველზე 2018-2020 წლებში სულ მცირე 40,000 ბენეფიციარმა შეიძინა/გაიუმჯობესა შრომითი ბაზრისთვის საჭირო უნარ-ჩვევები, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სულ მცირე 35 %-ს გაეზარდა ხელმისაწვდომობა ახალ და/ან გაუმჯობესებულ ინფრასტრუქტურაზე და სულ მცირე 8 საზოგადოებრივი ჯგუფის ინიციატივები კონსოლიდირებული იქნება და სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განახლების პროცესში გამოყენებული იქნება გამოცდილებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მისაღებად. ამოცანის მიღწევის დროს ყურადღება მიექცევა ისეთ საკითხებს, როგორიცაა გენდერი, ახალგაზრდები და სოციალურად მოწყვლადი და სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ჩართულობას. ამოცანის ინდიკატორების დეტალური აღწერა იხილეთ *დანართი 2.*

აქტივობისაღწერა

პრიორიტეტული მიმართულების სოციალური პირობები და ცხოვრების დონე აქტივობების განხორციელების შედეგად:

- გაიცა კომპიუტერისა და ინტერნეტის ვაუჩერები ფიზიკური პირებისა და მეწარმეებისთვის
- ახალგაზრდებს ტრენინგები ჩაუტარდათ ინოვაციებისა, მეწარმეობის მიმართულებით ცოდნის და უნარ-ჩვევები ასამაღლებლად

- პროფესიული პროგრამებში ჩაირიცხა სტუდენტები
- გადამზადდა სამუშაოს მაძიებელი ბენეფიციარები
- ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ახალგაზრდულ ინიციატივაში
- სხვადასხვა სოციალურად მოწყვლადმა ჯგუფებმა მიიღეს სოციალური დახმარება
- უზრუნველყოფილია დევნილებისა და ეკომიგრანტების ოჯახები უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოთი
- ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გასაუმჯობესებელ სასწავლო პროგრამაში
- აღდგენილი და განახლებულია საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა
- მეწარმეობის მიმართულებით ცონდის გაუმჯობესების მიზნით ტრენინგები ჩაუტარდათ პროფესიული სასწავლებლების დირექტორებსა და მასწავლებლებს.

დეტალურად პრიორიტეტის, ამოცანის და აქტივობის საფუძველზე გაწერილი შუალედური/მყისიერი ინდიკატორების შესახებ იხილეთ ინდიკატორის მონიტორინგის გეგმა *(დანართი3).*

2.1.3. პრიორიტეტული სფერო 3: გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა

ზოგადი აღწერა

პრიორიტეტული სფერო 3 გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა მოიაზრებს შემდეგი სამი ამოცანის მეშვეობით საბოლოო მიზნის და ამოცანის შესრულებას:

1. წყლის, ტყისა და სხვა რესურსები. სამიზნე სოფლის ტერიტორიებზე წყლის, ტყისა და სხვა რესურსების მართვის გაუმჯობესება.
2. ნარჩენების მართვა. სოფლად ნარჩენების მართვის მდგრადი სისტემების განვითარების ხელშეწყობა.
3. კლიმატის ცვლილება. კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შესაძლო ნეგატიური გავლენის შერბილების ღონისძიებების განხორციელება.

სოფლის განვითარების ***მესამე პრიოტეტული სფერო*** ყურადღებას ამახვილებს გარემოს დაცვის საკითხებზე და თითოეული ამოცანის შესრულების შედეგად:

ამოცანა 1	ამოცანა 2	ამოცანა 3
9 დაცულ ტერიტორიაზე გაუმჯობესებულია დაცვის ინფრასტრუქტურა	დასრულებულია ***2*** რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობა	გაზრდილია ***ჰიდრომეტეროლოგიური*** დაკვირვების ქსელი
დაწყებული და დასრულებულია ტყის ინვენტარიზაცია დაცული ტერიტორიების ***120 000*** ჰექტარ ფართობზე		დაზღვეულია ***81 000*** სასოფლო-სამეურნეო ჰექტარი მიწა

9 დაცულ ტერიტორიაზე მოწყობილია ეკოტურისტული და ეკოსაგანმანათლებლო მნიშვნელობის საინფორმაციო ინფრასტრუქტურა		
275 ჰექტარ მიწაზე გაშენებულია ტყის მასივი		
შემუშავებულია ტყის მართვის გეგმების პროექტები ***6*** სატყეო უბნისთვის		
გაზრდილია ნიადაგის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების მონიტორინგის წერტილების რაოდენობა		

მესამე პრიორიტეტული სფეროს საქმიანობებზე პასუხისმგებელი უწყებებია: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო - სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“, სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტო“, სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“, ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“; საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო - საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია.

პრიორიტეტული სფეროს ძირითადი ღონისძიებებია:

- დაცულ ტერიტორიებზე დაცვის ინფრასტრუქტურის მოწყობა, სადემარკაციო საინფორმაციო ნიშნულების განთავსება, საველე ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობით აღჭურვა და ტყის ინვენტარიზაცია, ეკოტურისტული და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მოწყობა
- მდგრადი სარგებლობისთვის სატყეო რესურსზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სატყეო გზების აღდგენა, მოწყობა
- ახალი ტყის მასივების გაშენება, ტყის ინვენტარიზაცია
- გეოლოგიური მონიტორინგის არეალის გაფართოება და გეოლოგიური აგეგმვითი სამუშაობის ჩატარება
- გარემოს მონიტორინგის არეალის გაფართოება ახალი წერტილების დამატებით
- ახალი რეგიონული ნაგავსაყრელების მოწყობა და ძველების დახურვა
- ჰიდრომეტეოროლოგიური სადამკვირვებლო სადგურების ქსელის გაფართოება
- სასოფლო-სამეურნეო მიწების დაზღვევა.

ამოცანის აღწერა

განხორციელებული აქტივობების საფუძველზე 2018-2020 წელს სულ მცირე 20%-ით გაზრდილია ტყის ფართობი, რომელიც იმართება ტყის მართვის გეგმებით; დაცული ტერიტორიების დამატებით 2 ტერიტორიული ერთეული იმართება მენეჯმენტის გეგმებით; მყარი ნარჩენების მართვა გაუმჯობესებულია სულ მცირე 2 რეგიონში; აგროდაზღვევის პროგრამის

ფარგლებში დაზღვეული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობმა შეადგინა 81,000 ჰა და მეტეოროლოგიური სადგურების რაოდენობა გაზრდილია 78%-ით (25 ახალი სადგური) და ჰიდროლოგიური დაკვირვების სადგურების რაოდენობა 52%-ით (24 ახალი სადგური). ამოცანის ინდიკატორების დეტალური განმარტება იხილეთ *დანართი 2.*

აქტივობის აღწერა

პრიორიტეტული მიმართულების გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა აქტივობების განხორციელების შედეგად:

- დაცული ტერიტორიებზე ჩამოყალიბებულია მდგრადი მართვის სისტემები და ეკოტურისტული და ეკოსაგანმანათლებლო მნიშვნელობის ინფრასტრუქტურა
- აღდგენილი და გაშენებულია ახალი ტყის მასივები
- განხორციელებულია ტყის აღრიცხვა და ინვენტარიზაცია
- გაზრდილია ყოველწლიური მონიტორინგის განხორციელების არეალი
- გაზრდილია ყოველწლიური გეოლოგიური მონიტორინგის განხორციელების არეალი
- გაზრდილია გეოლოგიური აგეგმვითი სამუშაობის რაოდენობა
- გაზრდილია მიწისქვეშა წყალპუნქტების მონიტორინგი
- გაზრდილია გარემოს ხარისხობრივი და რაოდენობრივი მონიტორინგის წერტილების რაოდენობა
- დაწყებულია თანამედროვე სტანდარტების რეგიონული ნაგავსაყრებლების მშენებლობა
- გაფართოებულია ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელი
- გაზრდილია დაზღვეული სასოფლო-სამეურნეო ჰექტრების რაოდენობა.

დეტალურად პრიორიტეტის, ამოცანის და აქტივობის საფუძველზე გაწერილი შუალედური/მყისიერი ინდიკატორების შესახებ იხილეთ ინდიკატორის მონიტორინგის გეგმა *(დანართი 3).*

სოფლის განვითარების სტრატეგიის ჩარევის ლოგიკა



3. სოფლის განვითარების 2018-2020 წწ. სამოქმედო გეგმის ბენეფიციარებზე გავლენის შეფასება

სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის და 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის ბენეფიციარები[4] არიან საზოგადოების ჯგუფები, რომლებიც პოლიტიკის განხორციელების შედეგად შექმნილი პროდუქტებისა და სერვისებით სარგებლობენ (გარდა იმ საზოგადოებრივი ჯგუფებისა რომლებიც ცხოვრობენ ქალაქებში თბილისი, ბათუმი, ფოთი, ქუთაისი, რუსთავი). წინასწარ სრულყოფილად არ არის განსაზღვრული იმ სამიზნე ბენეფიციარების ზუსტი რაოდენობა, რომლებიც სარგებელს მიიღებენ სამოქმედო გეგმის განხორციელებული აქტივობების მეშვეობით. ამ ეტაპზე, შესაძლებელია ზოგიერთი აქტივობის ბენეფიციარების საერთო რაოდენობის განსაზღვრა, მაგ. რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ტრენინგებში, საგანმანათლებლო, ცნობიერების ასამაღლებელ და სასოფლო-სამეურნეო თუ არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობებში. სამოქმედო გეგმაში მითითებული ბენეფიციარების რაოდენობაა 41,290. მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი სისტემის ჩარჩოს განხორციელების პროცესში შეძლებისდაგვარად უნდა მოხდეს ბენეფიციარების შესახებ ინფორმაციის მოწოდების ინსტრუმენტის გაუმჯობესება.

ბენეფიციარების შესახებ დემოგრაფიულ (გენდერი, ასაკი, ეთნიკური წარმომავლობა), რეგიონულ და საერთო სოფლის განვითარების ჭრილში სტატისტიკური ინფორმაციის მოგროვება და გაანალიზება იქნება მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი სისტემის ჩარჩოს ერთ-ერთი ამოცანა, რადგან სოფლის განვითარების სტრატეგიის ხედვის შესრულების შეფასების დროს მნიშვნელოვანია ამ სტატისტიკური მონაცემების არსებობა იმის გასაზომად, რამდენად წარმატებული იყო სტრატეგიაში განსაზღვრული პრიორიტეტების და ამოცანების ინდიკატორები დადებითი ცვლილების და ზეგავლენის მოხდენის თვალსაზრისით ამ ჯგუფების კონტექსტშიც.

მონიტორინგისა და შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია ბენეფიციარებისგან მიღებული ინფორმაცია. ბენეფიციარები მიღებული დაფინანსების ფარგლებში თანამშრომლობენ სახელმწიფო უწყებებთან მონაცემების გაზიარებისდა სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შეფასებებისთვის ჩატარებულ გამოკვლევებში როგორც უშუალოდ ბენეფიციარი ან როგორც სხვადასხვა ბენეფიციარი ორგანიზაციების (ფერმერთა ასოციაციები, მეწარმეთა და ა.შ.) წევრი.

მონაცემების დისაგრეგაცია/ჩაშლა განხორციელდება ამოცანის და აქტივობის მიხედვით (სადაც შესაძლებელი იქნება). იხილეთ ინდიკატორის მონიტორინგის გეგმა *დანართი 3.* დამატებით, ბენეფიციარების შესახებ მონაცემების შეგროვებისთვის, იხილეთ ბენეფიციარების აღწერის ფორმა - *დანართი 6.*

4. სოფლის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი

სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის მონიტორინგი განხორციელდება სისტემატურად, რაც გულისხმობს მონიტორინგის და შეფასების გეგმის მიხედვით გაწერილი საქმიანობების განხორციელებას, აქტივობების და პროექტების შესრულების მეთვალყურეობას დროულად ხარვეზების, შეფერხებისა თუ წარმატების შემთხვევების გამოვლენის მიზნით.

ლოგიკური ჩარჩოს მიხედვით სტრატეგიის შესრულება შეფასდება ორი დონის ინდიკატორების მიხედვით: აქტივობის და ამოცანის. მონიტორინგისა და შეფასების ლოგიკურ ჩარჩოში დონეების მიხედვით გაწერილი ინდიკატორები საშუალებას იძლევა

[4]იხ. პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელო, საქართველოს მთავრობა, 2016 - გვ. 13.

პროგრამების/პროექტების განმახორციელებელმა უწყებებმა წარმოიდგინონ როგორ მიმდინარეობს დაგეგმილი ღონისძიებების შესრულება დასახული ამოცანების მიღწევისთვის. მონიტორინგის მონაცემების რეგულარული გაანალიზება შესაბამის უწყებებს, სამინისტროებს, უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს წევრებსა და საქართველოს მთავრობას შესაძლებლობას აძლევს საჭიროების შემთხვევაში შეიტანონ შესაბამისი პროგრამული ცვლილებები სამოქმედო გეგმის საერთო განხორციელებისა და მიზნის მიღწევის გასაუმჯობესებლად.

4.1. მონიტორინგი: მიდგომა და პრინციპები

4.1.1. ინდიკატორის დონეები

მონიტორინგის და შეფასების ერთიანი სისტემის ჩარჩო გვთავაზობს ორი დონის ინდიკატორებს აქტივობის დაამოცანის.

ამოცანის ინდიკატორები ზომავს ჩარევის შუალედურ ზეგავლენას და პირდაპირ კავშირშია აქტივობის, ინდიკატორების შესრულებასთან. თავისმხრივ აქტივობის ინდიკატორები ზომავს პროექტის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს, რაც შეიძლება იყოს შესრულებული ღონისძიების შედეგად მიღებული მომსახურება, ტრენინგი, ტექნიკური დახმარება და ა.შ. ინდიკატორების დონეებს განსაზღვრავს, ქვემოთ მოცემული ევროკავშირის სოფლის განვითარების დაგეგმარების დროს აღიარებული ჩარევის ლოგიკა:



4.1.2. ინდიკატორების კლასიფიკაცია

ინდიკატორების კლასიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი ტიპების მიხედვით:

- კუმულაციური - საერთო ჯამის დასაანგარიშებლად 6 თვის, წლიური თუ საბოლოო ანგარიშის დაანაგარიშების დროს ფაქტობრივ სტატისტიკურ ინფორმაციას მიემატება, წინა 6 თვის, წლის ან წლების ინფორმაცია, იმის მიხედვით რა ტიპის ანგარიშგებისთვის ხდება მაჩვენებლების დაანგარიშება.

- დონე - იძლევა ინფორმაციას კონკრეტული დროის პერიოდში რა არის ტენდეცია (საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლებთან მიმართებაში. მონაცემების არსებობის შემთხვევაში შეიძლება ტენდეციის დადგენა როგორც საბაზისო მაჩვენებლამდე, ასევე საბაზისო მაჩვენებელსა და სამიზნე მაჩვენებელს შორის).
- თარიღი - სამიზნე მაჩვენებელთან მიმართებაში კალენდარული შესრულება.

4.2. ინდიკატორის მონიტორინგის გეგმა

ინდიკატორის მონიტორინგის გეგმა თითოეული ინდიკატორის შესახებ გვაწვდის დეტალურ ინფორმაციას (იხილეთ *დანართი 3,* ამ დანართის მიხედვით თითოეული უწყებისთვის მომზადდება ცალკე ინდიკატორის მონიტორინგის გეგმა შესაბამისი აქტივობების გასაწერად. ინდიკატორის მონიტორინგის გეგმის მეშვეობით თითოეულ ინდიკატორზე შესაძლებელია შემდეგი ინფორმაციის მიღება: 1. დასახელება; 2. აღწერა; 3. გაზომვის ერთეული; 4. დისაგრიგაცია/ჩაშლა; 5. მონაცემთა წყარო; 6. მონაცემების შეგროვების მეთოდი; 7. მონაცემთა შეგროვების სიხშირე და 8. ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი/უწყება.

4.2.1. ინდიკატორის აღწერა

ინდიკატორის მონიტორინგის გეგმაში, თითოეული ინდიკატორის გასწვრივ მოცემულია ინდიკატორის აღწერა (იხილეთ *დანართი 3).* აქტივობის მქონე ინდიკატორების აღწერაზე მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ კონკრეტული აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებები.

4.2.2. გაზომვის ერთეული

ინდიკატორის გაზომვის ერთეული იძლევა ინფორმაციას რა გაზომვის ერთეულების გამოყენებით მოხდება კონკრეტული ინდიკატორის დაანგარიშება/ან ინფორმაციის მიღება და როგორ არის გამოხატული - ციფრებში, პროცენტულ მაჩვენებლებში, თანხობრივში თუ ა.შ.

4.2.3. დისაგრიგაცია/ჩაშლა

სოფლის განვითარების სტრატეგიის საერთო სურათისთვის და საბოლოო შედეგისთვის, სადაც კი შესაძლობლობა იქნება მონაცემები მოგროვდება, გაანალიზდება და ანგარიშგება მოხდება გენდერის, ასაკობრივი ჯგუფების, სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების, რეგიონების მიხედვით. ჩაშლილი ინფორმაციის მეშვეობით ანგარიშგება, გადაწყვეტილებების მიმღებებს აძლევს საშუალებას დაინახონ, თუ სამოქმედო გეგმის განხორციელებით რა სარგებელს იღებს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფი.

ინდიკატორის მონიტორინგის გეგმაში (იხილეთ *დანართი 3*) მითითებულია რომელი ინდიკატორი რა ჩაშლის მიხედვით უნდა შესრულდეს, მიღებული მონაცემების გაანალიზება და ანგარიშგება მოხდება წლიური ანგარიშის ფორმატში.

4.2.4. მონაცემთა წყარო

მონაცემთა წყარო მითითებულია ინდიკატორის მონიტორინგის გეგმაში (*დანართი 3*). მონაცემების პირველადი წყარო არის აქტივობების განმახორციელებელი უწყება, სააგენტო ან კონკრეტული ღონისძიების განმახორციელებელი არა საჯარო უწყება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4.2.5. მონაცემების შეგროვების მეთოდი

პრიორიტეტის და ამოცანის ინდიკატორების შესახებ მონაცემების შეგროვებისთვის, გარდა უწყებებიდან წარმოდგენილი მონაცემებისა, შეიძლება გამოყენებული იყოს მეორად მონაცემთა წყაროები, როგორიცაა სხვადასხვა უწყებებიდან მიღებული ანგარიშები, ორგანიზაციული ჩანაწერები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

აქტივობის ინდიკატორებისთვის მონაცემთა შეგროვების მეთოდი განსხვავებულია უწყებებისა და სააგენტოების მიხედვით. დიდწილად ეს დამოკიდებულია იმაზე თუ რა კონკრეტული მეთოდები გამოიყენება აქტივობის შესახებ მონაცემების შეგროვებისთვის - პროექტის ჩანაწერებს, გამოკვლევებს, საველე გასვლებს, მყისიერ შეფასებებს, ელექტრონულ მონაცემთა ბაზას, 6 თვის, წლიურ ანგარიშებს და ა.შ.

მონაცემების შეგროვება განხორციელდება ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით.

4.2.6. მონაცემთა შეგროვების სიხშირე

მონაცემთა შეგროვების სიხშირე დამოკიდებულია ინდიკატორზე. ამოცანის ინდიკატორების შესახებ მონაცემები შეგროვდება ყოველწლიურად, ხოლო აქტივობის ინდიკატორებისთვის კი 6 თვის მიხედვით (იხილეთ *დანართი 3).*

4.2.7. ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი/უწყება

ამოცანის და აქტივობის ინდიკატორების ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი/უწყება/დეპარტამენტი განისაზღვრება შესაბამისი საქმიანობიდან გამომდინარე. იმის გათვალისწინებით, რომ ამოცანის შემადგენელი ცალკეული ქმედებების შესრულებაზე შესაძლია სხვადასხვა უწყებები იყოს პასუხისმგებელი, ამოცანის ინდიკატორების ანგარიშგებას (მონაცემების შეგროვება და გაანალიზება) კოორდინაციას უწევს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსპოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტი, რადგან ეს დეპარტამენტია პასუხისმგებელი 6 თვის, წლიურ და საბოლოო ანგარიშგებაზე.

4.3. ინდიკატორის საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლების გეგმა

სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის ინდიკატორების მონიტორინგის გეგმა იყენებს საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლების ურთიერთმიმართებას. სამიზნე მაჩვენებელი არის პროგრამის დიზაინის შექმნის დროს დაშვებული ვარაუდი, თუ რის მიღწევა იგეგმება თითოეული ღონისძიების შესრულების შედეგად. საბაზისო მაჩვენებელი კი არის ის საწყისი მაჩვენებელი, რასთან მიმართებაშიც მონიტორინგმა და შეფასებამ უნდა გაზომოს რამდენად სწორად იყო განსაზღვრული და შესრულდა თუ არა სამიზნე მაჩვენებლები. საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრა ხდება წინა წლების პერიოდში მიღებული და გაანალიზებული ინფორმაციის საფუძველზე სხვადასხვა სამინისტროებიდან. თუ სამოქმედო გეგმის შესრულების დროს შეიცვალა ან გადახედვას დაექვემდებარა საბაზისო მაჩვენებელი, შესაბამისად უნდა შეიცვალოს სამიზნე მაჩვენებელიც.

სამიზნე მაჩვენებლების პროგნოზირების დროს გამოიყენება, სამინისტროების ანგარიშები, საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების კვლევები და ანგარიშები, განხილვები ექსპერტებთან და კონსულტანტებთან, უწყებების სამუშაო გეგმები.

საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლებში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, საკითხის განხილვა უნდა მოხდეს უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე დასტურის მისაღებად (იხილეთ *დანართი 11*).

თითოეული ინდიკატორის მიხედვით საბაზისო და სამიზნე მაჩვენებელი მოცემულია ინდიკატორის საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლების გეგმაში (იხილეთ *დანართი 5*).

თუ სამოქმედო გეგმის რომელიმე ინდიკატორისთვის საბაზისო მაჩვენებლის განსაზღვრა შეუძლებელია აქტივობიდან გამომდინარე, ან არ არსებობს დამადასტურებელი მონაცემები, საბაზისო კვლევა, მაშინ საბაზისო მონაცემად შეიძლება აღებული იყოს სამოქმედო გეგმის პირველი 6 თვის მაჩვენებელი და წლიური ანგარიშისთვის მოხდეს კიდევ ერთხელ საბაზისო მაჩვენებლის შეჯერება შესრულების მიხედვით. შეჯერებული საბაზისო მაჩვენებელი გახდება დანარჩენი ორი წლის სამოქმედო გეგმის საწყის ათვლის წერტილად.

4.4. მონაცემთა ხარისხი

მონიტორინგის პროცესში მონაცემთა ხარისხი მნიშვნელოვანია. მონაცემების ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ სტანდარტებს, როგორიცაა ვალიდურობა, სანდოობა, დროულობა, სიზუსტე და სისრულე. მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელმა უწყებებმა უნდა უზრუნველყონ ამ მონაცემების ხარისხი. წარმოდგენილი მონაცემების სამიზნე ინდიკატორებთან არსებითი შეუსაბამობის შემთხვევაში, ხარისხიანი მონაცემების უზრუნველყოფის მიზნით, პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტი, გარდა 6 თვის ანგარიშებისთვის მონაცემების შეგროვებისა, პასუხისმგებელი უწყებების მეშვეობით გადაამოწმებს მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტეს და სისრულეს.

4.5. სოფლის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის 6 თვის, წლიური და საბოლოო ანგარიში

სოფლის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ინდიკატორების და სახელმწიფო თანხების ხარჯვის შესახებ მზადდება სამი ტიპის ანგარიში: 6 თვის, წლიური და საბოლოო ანგარიშები (ანგარიშის ფორმატები იხილეთ დანართები 7, 8,9).

6 თვის ანგარიშგების მიზანია სამოქმედო გეგმის აქტივობების განმახორციელებელმა სამინისტროებმა უწყებრივ დონეზე გაანალიზონ აქტივობის ინდიკატორებისა და ბიუჯეტის შესრულების პროგრესი, როგორც დადებითი ისე უარყოფითი ტენდენციების გამოვლენისთვის. შეფერხებებისა ან/და ინდიკატორის შესრულების დაბალი მაჩვენებელი ან საერთოდ ვერ შესრულება, რაც უფრო დროულად გამოვლინდება, შესაბამისად უფრო ადვილი იქნება შესაბამისი ქმედებების განხორციელება და დაგეგმვა. 6 თვის მონაცემების შეგროვებას და გაანალიზებაში გარდა უწყებებისა ჩართულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია უწყებებიდან 6 თვის მიხედვით ინფორმაციის შეგროვებასა და ანგარიშის მომზადებაზე. 6 თვის ანგარიშის საბოლოო ფორმატის წარდგენა ხდება უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსთვის განსახილველად. რადგან 6 თვის ანგარიშები შიდა დანიშნულების დოკუმენტია და იმის გათვალისწინებით რომ ინდიკატორების შესრულება წლიურია, საჯაროდ 6 თვის ანგარიშების განხილვა არ არის მიზანშეწონილი. 6 თვის ანგარიშის საბოლოო ფორმატის გაზიარება ხდება შესაბამის უწყებებთან უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მეშვეობით შეხვედრის დროს. განსაკუთრებულ შემთხვევებში, მაგალითად თუ ადგილი აქვს სამოქმედო გეგმის 65% ინდიკატორების შესრულების შეფერხებას, ან რომელიმე სახელმწიფო პროგრამაში ცვლილებებს, შესაძლოა საჭირო გახდეს რიგგარეშე უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის მოწვევა სამომავლოდ ქმედითი ღონისძიებების და ჩარევების განსაზღვრისთვის. 6 თვის ანგარიშის წარდგენის ვადაა 6 თვის, დასრულებიდან 2 კვირა.

წლიური ანგარიშის მიზანია, არამხოლოდ აქტივობის (მოსალოდნელი შედეგების) შესრულების მონიტორინგი და შეფასება, არამედ ამოცანის დონეზეც. სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს აწვდის ინფორმაციას საერთო შესრულების პროგრესის (როგორც რაოდენობრივის, ასევე ხარისხობრივის) შესახებ ბიუჯეტის ხარჯვის ჩათვლით, რაც კარგი საშუალებაა სრული სურათის წარმოდგენისთვის. აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმაში ამოცანის და აქტივობის ინდიკატორების შესრულება გაწერილია წლის მიხედვით, რაც გადაწყვეტილებების მიმღებს დაეხმარება მკაფიოდ დაინახოს სამიზნე და დაგეგმილი მაჩვენებლის შესრულება საბაზისო მაჩვენებელთან მიმართებაში. ასევე, წლიური ანგარიში სამოქმედო გეგმის შედეგების ინდიკატორების შესრულების შესახებ მაჩვენებლების წარდგენით, ევროკავშირის წარმომადგენლობის მიერ საქართველოს სოფლის განვითარებისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო დახმარების თანხის მიღების წინაპირობის განსაზღვრას ხდის შესაძლებელს. დეტალურად იხილეთ ინფორმაცია „შესრულების ინდიკატორის ჩარჩო“ ქვეთავში.

დამატებით, წლიური ანგარიშის ფორმატი საშუალებას იძლევა სხვადასხვა ჭრილში მოხდეს ინფორმაციის გაანალიზება, გენდერი, ახალგაზრდები, სოციალურად მოწყვლადი ჯგუფები, ეთნიკური უმცირესობები, რეგიონი და ა.შ.

სამოქმედი გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტი. მომზადების პროცესში მნიშვნელოვანია სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებების თანამონაწილეობა. მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაწილეობა ამოცანის და აქტივობის დონის ინდიკატორის შესრულების სტატისტიკური მაჩვენებლების დაანგარიშებაში. წლიური ანგარიშის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსთვის წარდგენის ვადაა წლის დასრულებიდან 1 თვის ვადაში, ხოლო დამტკიცების 2 კვირა.

წლიური ანგარიშის საბოლოო ვერსია მიღებამდე გაეგზავნება უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს განხილვისა და შენიშვნებისთვის. თუ სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშში, ინდიკატორების შესრულების პროგრესის შესახებ მონაცემების გაანალიზების დროს აღმოჩნდა რომ ინდიკატორების შესრულების არადამაკმაყოფილებელი პროცენტული მაჩვენებელია (განმარტება იხილეთ ქვეთავში „შესრულების ინდიკატორის ჩარჩო“) უნდა განისაზღვროს სამომავლოდ განსახორციელებელი ქმედებები ან შევიდეს ცვლილებები შესაბამის ინდიკატორში (იხილეთ ინდიკატორის შეცვლის ფორმა, *დანართი 11*).

საბჭო ვალდებულია, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის ანგარიში წელიწადში ერთხელ წარუდგინოს საქართველოს მთავრობას. ასევე წლიური ანგარიში გამოქვეყნდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებგვერდზე, ინფორმაცია გავრცელდება სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით და მომზადდება ერთგვერდიანი საინფორმაციო ფურცელი წლის მიღწევების შესახებ (იხილეთ *დანართი 10*).

საბოლოო ანგარიშის მიზანია თავი მოუყაროს და გაანალიზოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელება პრიორიტეტების და ამოცანების ინდიკატორების მეშვეობით განსაზღვროს რამდენად წარმატებულად შესრულდა სტრატეგიის მიხედვით დაგეგმილი საქმიანობები. საბოლოო ანგარიშის ფორმაში *(დანართი 9)* დეტალურად უნდა იყოს გაანალიზებული ლოგიკური ჩარჩოს ყველა საფეხური, ინდიკატორების შესრულების მექანიზმები, ინდიკატორების ფინანსური შესრულება, ბენეფიციარებისა და სამიზნე ჯგუფების, რეგიონული თუ სხვა პარამეტრების მიხედვით ჩაშლილი ინფორმაცია, სტრატეგიის და სამოქმედო

გეგმის წარმატებისა და გამოწვევების შესახებ ინფორმაცია, და თუ რა როლი შეასრულეს მონაწილე მხარეებმა კომპლექსური სამოქმედო გეგმის შესრულებაში.

საბოლოო ანგარიშის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსათვის წარდგენის ვადაა სოფლის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების დასრულებიდან 3 თვე, ხოლო დამტკიცების 2 კვირა.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, სოფლის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის საბოლოო ანგარიშის დასრულებულ ვერსიას წარუდგენს საქართველოს მთავრობას. ანგარიშის დასრულებული ვერსია გამოქვეყნდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებგვერდზე, ინფორმაცია გავრცელდება სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით და მომზადდება ერთგვერდიანი საინფორმაციო ფურცელი წლის მიღწევების შესახებ.

მონიტორინგისთვის ინფორმაციის და მონაცემების შეგროვების სტრუქტურა გრაფიკულად იხილეთ ქვემოთ:



4.6. შესრულების ინდიკატორის ჩარჩო

შესრულების ინდიკატორის ჩარჩოს შეფასება უნდა მოხდეს წლების მიხედვით, სამიზნე ინდიკატორებთან მიმართებაში. შესრულების ინდიკატორებია სოფლის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის ამოცანის ინდიკატორები, დეტალურად იხილეთ ცხრილი #1. შესრულების ინდიკატორების შესრულება განისაზღვრება თითოეული ქვემოთ მოცემული ამოცანის ინდიკატორის (შესრულების ინდიკატორის) პროცენტული შესრულების მიხედვით. ინდიკატორის შესრულება წარმატებულად ჩაითვლება, თუ შესრულდება 85%-ით; წარმატებული შესრულების

ქვედა ზღვარია 75%-ი. თუ, ძირითადი შესრულების ინდიკატორის შესრულება 65%-ია (შუესრულებლობის ქვედა ზღვარია 60%-ი), ჩაითვლება რომ ინდიკატორი არ შესრულდა[5].

ცხრილი #1:

პრიორიტეტული სფერო	**ამოცანის ინდიკატორები საბიუჯეტო თანხის მითითებით**	**ამოცანის ინდიკატორების შესაბამისი კოდი და საბიუჯეტო თანხა**
ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა	**ამოცანების ბიუჯეტი[6]**	**1. 378,609.0**
	1.1 (ა) 2018-2020 წლებში სულ მცირე 1290-მა ბენეფიციარმა განახორციელა ინვესტიცია	1.1 (ა) 234,526.0
	1.1 (ბ) 2020 წლის ბოლოსთვის ჰიდრომელიორირებული ფართობი გაზრდილია 15%-ით	1.1 (ბ)123,880.0
	1.2 2018-2020 წლებში სულ მცირე 24-მა არასასოფლო-სამეურნეო საწარმომ განახორციელა ინვესტიცია	1.2 5,500.0
	1.3 2018-2020 წლებში სულ მცირე 135 ტურისტულ პროდუქტსა და ინფრასტრუქტურაში განხორციელდა ინვესტირება.	1.3 14,703.0
სოციალური პირობები და ცხოვრების დონე	**ამოცანების ბიუჯეტი**	**2. 1,143,153.5**
	2.1 2018-2020 წლებში, სულ მცირე 40,000-მა ბენეფიციარმა შეიძინა/გაიუმჯობესა შრომითი ბაზრისთვის საჭირო უნარები	2.42,789.0
	2.2 2018-2020 წლებში სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სულ მცირე 35 %-ს გაეზრდება ხელმისაწვდომობა ახალ და/ან გაუმჯობესებულ ინფრასტრუქტურაზე	2.2 1,100,364.5
	2.3 2018-2020 წლებში, საქართველოს მასშტაბით, სულ მცირე 8 საზოგადოებრივი ჯგუფის ინიციატივები კონსოლიდირებული იქნება და სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განახლების პროცესში გამოყენებული იქნება გამოცდილებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მისაღებად.	(იხ. სქოლიო)[7]
გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა	**ამოცანების ბიუჯეტი**	**3. 645,600**
	3.1 (ა) 2020 წლის ბოლოს სულ მცირე 20 %-ით გაზრდილია ტყის ფართობი, რომელიც იმართება ტყის მართვის გეგმებით	3.1 (ა) 2471.0
	3.1 (ბ) დაცული ტერიტორიების დამატებით 2 ტერიტორიული ერთეული იმართება მენეჯმენტის გეგმებით 2018-2020 წლებში.	(იხ. სქოლიო)[8]
	3.2 2018-2020 წლებში, მყარი ნარჩენების მართვა გაუმჯობესებულია სულ მცირე 2 რეგიონში	3.2 66,000.0
	3.3 (ა)2018-2020 წლებში აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში დაზღვეულია არანაკლებ 81,000 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი.	3.3 (ა) 36,500.0
	3.3 (ბ) 2018-2020 წლებში მეტეოროლოგიური სადგურების რაოდენობა გაზრდილია 78%-ით (25 ახალი სადგური) და ჰიდროლოგიური დაკვირვების სადგურების რაოდენობა 52%-ით (24 ახალი სადგური).	3.3 (ბ) 2960.0

შესრულების ინდიკატორის ჩარჩო არის წლიური ანგარიშის შემადგენელი ნაწილი და ქვემოთ მოცემული ცხრილის #2 მიხედვით წარმოადგენს, რამდენად შესრულდა 2018, 2019 და 2020 წლების ამოცანის ინდიკატორები. მოცემული ცხრილის მიხედვით უნდა გაანალიზდეს თითოეული შესრულების ინდიკატორის შესრულება, თუ შეფერხებაა ან ვერ შესრულდა რომელიმე ამოცანის

[5]Guidance Fiche – Performance Frameworks Review and Reserve in 2014-2020, p. 15-17.

[6]ბიუჯეტის გასწვრივ თანხები მითითებულია მილიონებში.

[7]დაფინანსების წყარო განსასაზღვრია. 2.3 ამოცანის დაფინანსება შეიძლება უზრუნველყონ დონორებმა ან/და სახელმწიფო უწყებებმა საკუთარი სახსრებით

[8]დაფინანსების წყარო განსასაზღვრია.

ინდიკატორი, საჭიროა განისაზღვროს გამოსწორების ქმედითი ღონისძიებები, რათა აისახოს შემდგომი წლების დაგეგმილი და საბოლოო სამიზნე ინდიკატორის მისაღწევად. ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებლის ცვლილებასთან დაკავშირებით უნდა შეივსოს ფორმა (იხილეთ *დანართი 12*) და წარედგინოს დასამტკიცებლად უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს. შესრულების ინდიკატორის ჩარჩო, საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგიის მიხედვით შემოწმდება და შეფასდება წლიურ ანგარიშის მომზადების პერიოდში, სადაც მიმოხილვაში წარმოდგენილი იქნება ფაქტობრივი შესრულების მაჩვენებლები. ქვემოთ ცხრილში, წლების მიხედვით მოცემულია, 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის ამოცანის ინდიკატორების ფაქტობრივი და სამიზნე მაჩვენებლები შესრულების შეფასებისთვის.

ცხრილი 2[9]:

პრიორიტეტული სფერო	ამოცანის ინდიკატორი	2016 წლის საბაზისო მაჩვენებელი	2018 წლის ფაქტობრივი შესრულება	2018 წლის სამიზნე მაჩვენებელი	2019 წლის ფაქტობრივი შესრულება	2019 წლის სამიზნე მაჩვენებელი	2020 წლის ფაქტობრივი შესრულება	2020 წლის სამიზნე მაჩვენებელი	2018-2020 ფაქტობრივი შესრულება	2018-2020 სამიზნე მაჩვენებელი
ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა	1. ბიუჯეტი									
	1.1 (ა) 2018-2020 წლებში სულ მცირე 1290-მა ბენეფიციარმა განახორციელა ინვესტიცია									
	1.1 (ბ) 2020 წლის ბოლოსთვის ჰიდრომელიორირებული ფართობი გაზრდილია 15%-ით									
	1.2 2018-2020 წლებში სულ მცირე 24-მა არასასოფლო-სამეურნეო საწარმომგანახორციელა ინვესტიცია									
	1.3 2018-2020 წლებში სულ მცირე 135 ტურისტულ პრიდუქტში და ინფრასტრუქტურაში განხორციელდა ინვესტირება.									
სოციალური პირობები და ცხოვრების დონე	2. ბიუჯეტი									
	2.1 2018-2020 წლებში, სულ მცირე 40,000-მა ბენეფიციარმა შეიძინა/გაიუმჯობესა შრომითი ბაზრისთვის საჭირო უნარები									
	2.2 2018-2020 წლებში სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სულ მცირე 35 %-ს გაეზრდება ხელმისაწვდომობა ახალ და/ან გაუმჯობესებულ ინფრასტრუქტურაზე									
	2018-2020 წლებში, საქართველოს მასშტაბით, სულ მცირე 8 საზოგადოებრივი ჯგუფის ინიციატივები კონსოლიდირებული იქნება და სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განახლების პროცესში გამოყენებული იქნება გამოცდილებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მისაღებად..									
გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა	3. ბიუჯეტი									
	3.1 (ა) 2020 წლის ბოლოს სულ მცირე 20%-ით გაზრდილია ტყის ფართობი, რომელიც იმართება ტყის მართვის გეგმებით									
	3.1 (ბ) დაცული ტერიტორიების დამატებით 2 ტერიტორიული ერთეული იმართება მენეჯმენტის გეგმებით 2018-2020 წლებში.									
	3.2 2018-2020 წლებში, მყარი ნარჩენების მართვა გაუმჯობესებულია სულ მცირე 2 რეგიონში									
	3.3 (ა)2018-2020 წლებში აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში დაზღვეულია არანაკლებ 81,000 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი.									

[9] *ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისა და სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის გათვალისწინებით, მაშინ როდესაც სახელმწიფო პოლიტიკაა ევროკავშირის სტრუქტურებთან დაახლოება, საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესება, გამოცდილების გაზიარება, ზემოთ მოცემული ძირითადი შესრულების ინდიკატორების ჩარჩოს შემუშავების დროს გათვალისწინებული იყო ევროკავშირის სოფლის განვითარების პოლიტიკა 2014-2020 წლების ძირითადი შესრულების ინდიკატორის წარმატებით თუ წარუმატებლად შესრულების დროს აღიარებული მეთოდოლოგია (დეტალურად იხილეთ დანართი 12). თუმცა, საქართველოს მთავრობას და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს არსებულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით ან არსებული გამოცდილების გათვალისწინებით შეუძლია განსაზღვროს ძირითადი შესრულების ინდიკატორების წარმატებით შესრულების განსხვავებული პროცენტული მაჩვენებელი ან მიდგომა.*

	3.3 (ბ) 2018-2020 წლებში მეტეოროლოგიური სადგურების რაოდენობა გაზრდილია 78%-ით (25 ახალი სადგური) და ჰიდროლოგიური დაკვირვების სადგურების რაოდენობა 52%-ით (24 ახალი სადგური).									

5. სოფლის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შეფასების გეგმა[10]

მონიტორინგის და შეფასების ერთიანი სისტემის ჩარჩოს უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია შეფასება. შეფასება[11] ეს არის სისტემური მექანიზმი შეაფასოს დაგეგმილი პოლიტიკის ინიციატივების და ღონისძიებებისშედეგები და რამდენად მიზანმიმართული იყო ზეგავლენა; შეფასების შედეგად მიღებული მტკიცებულებები არის საფუძველი ეფექტური, ეფექტიანი და სასარგებლო გადაწყვეტილებების მიღებისთვის. დამატებით, შეფასებას თავისი წვლილი შეაქვს გამჭვირვალობის, ინსტიტუციური განვითარების და ანგარიშვალდებულების კუთხით.შეფასების დროს მიღებული ინფორმაცია და გამოცდილებასასარგებლოა იმის დასადგენად, თუ რამ იმუშავა და რა მიმართულებით არის საჭირო ცვლილებების განხორციელება, რაც, თავის მხრივ, უნდა გახდეს სამომავლოდ პოლიტიკის და პროგრამების შემუშავებისთვის გზამკვლევი.

5.1. მიზანი და ამოცანები[12]

სოფლის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შეფასების **მიზანია** შეაფასოს თუ რა შეიძლება გაუმჯობესდეს პროგრამების დიზაინის შექმნისა და განხორციელების პროცესში, ასევე შეაფასოს სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის აქტუალურობა, ეფექტურობა, ეფექტიანობა, განხორციელება, ზემოქმედება და მდგრადობა. საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგიის შეფასების დროს ყურადღება უნდა მიექცეს, თუ რა წვლილი შეიტანა სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებამ, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ მიზნებთან და ამოცანებთან მიმართებაში.

ევროკავშირი სოფლის განვითარების სტრატეგიის საბოლოო შეფასებას, როგორც ეს მოხსენებულია *სტრატეგიის შემდგომი შეფასება* ახორციელებს სტრატეგიის დასრულებიდან სამი წლის განმავლობაში, რაც გულისხმობს რომ შეფასების ანგარიში მზად უნდა იყოს მესამე წლის ბოლოს. შეფასების დოკუმენტი, სხვა შეფასების პარამეტრებთან ერთად აქცენტს აკეთებს ზემოქმედების პარამეტრის მიხედვით შეფასებაზეც, შედეგების სიღრმისეული შესწავლისა და გაანალიზებისთვის. საერთოდ, მსგავსი სტრატეგიის შეფასების დროს ზემოქმედების შეფასება, რომელიც რეკომენდებულია ჩატარდეს სტრატეგიის დასრულებიდან გარკვეული დროის მონაკვეთის გასვლის შემდეგ (შეიძლება ეს იყოს 2 ან მეტი წელი) იძლევა უკეთესს სურათს, თუ რა ზეგავლენა მოახდინა სახელმწიფოს მიერ განხორციელებულმა პოლიტიკამ საერთო მიზნის მიღწევისთვის. გასათვალისწინებელია, რომ სტრატეგიის დასრულებისთანავე მხოლოდ საბოლოო შეფასების ჩატარებით ზემოქმედების გაზომვა რთულად მისაღწევია. შესაბამისად, შეიძლება და სასურველიცაა შეფასების ზემოქმედების პარამეტრი გათვალისწინებული იყოს სტრატეგიის შუალედური და საბოლოო შეფასების ტექნიკურ დავალებებში.

[10]იხ. მთავრობის საქმიანობის მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების სისტემები, საქართველოს მთავრობა, 2016, გვ. 13-16

[11]Legal Text 13 Regulation (EU) No 1303/2013 – General Provisions

Legal Text 14 Regulations (EU) No 1305/2013 – General Provisions

[12]ქვეთავების მომზადების დროს გამოყენებულია, Legal Text 15 Commision Implementing Regulation (EU) No 808/2014 – Evaluation Plan

შეფასების გეგმის ***ამოცანებია:***

- უკეთესად დაუკავშიროს მონიტორინგი შეფასებას, მონაცემების შეგროვების მექანიზმებს და გზებს
- დროულად გამოვლინდეს მონიტორინგის და შეფასების მიმართულებით ინსტიტუციური განვითარების საჭიროება
- უზრუნველყოს შეფასებისღონისძიებების განგრძობითობა, მაგალითად პროგრესის რეგულარული შემოწმება, საველე გასვლების, 6 თვის და წლიური ანგარიშგებების მეშვეობით
- დაამკვიდროს შეფასების საუკეთესო მიდგომები და პრაქტიკული გამოცდილებები
- მოამზადოს საფუძველი შუალედური და საბოლოო შეფასებებისთვის.

5.2. ხელმძღვანელობა და კოორდინაცია

შეფასებების ჩატარების ორგანიზებას უზრუნველყოფს უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო. უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭო განიხილავს და ამტკიცებს შეფასების ტექნიკურ დავალებას, სპეციალური ჯგუფის შექმნას, შეფასებების ტიპს და მეთოდოლოგიას, შეფასების ჩატარების დროს, ვადებს, ფინანსური სახსრებს, შესრულებას, შეფასების ანგარიშის ფორმატს, რეკომენდაციებს და ა.შ.

5.3. შეფასების ღონისძიებები

შეფასების საკითხების და შესაბამისი ღონისძიებების განსაზღვრა დამოკიდებულია შეფასების ტიპზე და ჩატარების მეთოდზე. მთავრობის საქმიანობის მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების სისტემები, მსგავსი სტრატეგიის შეფასების ინსტრუმენტად იყენებს ორი ტიპის შეფასებას: შუალედურ და საბოლოო შეფასებას.

როგორც ზევითაც აღინიშნა, პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელო განსაზღვრავს შეფასების ორ ტიპს: შუალედურს და საბოლოო შეფასებას. თუმცა, გარდა ამ ორი შეფასების ტიპისა, სასურველია მესამე, მყისიერი შეფასების ტიპის გამოყენება, რომელიც დროის მოკლე მონაკვეთში, ნებისმიერ დროს შესაძლებელს ხდის ადგილზე, პროექტის განხორციელების პროცესში ჩატარდეს მყისიერი შეფასება, საკითხის სიღრმისეულად შესწავლის და დროული მოგვარების გზების განსაზღვრის მიზნით.

დასახელება	**შუალედური შეფასება**	**საბოლოო შეფასება**	**მყისიერი შეფასება**
მიზანი	შეაფასოს სამოქმედო გეგმის პროგრესი და მყისიერი შედეგები. დამატებით, შუალედური შეფასების დროს უნდა მოხდეს ინსტიტუციური შეფასებაც	სამოქმედო გეგმის პროგრესის შეფასება სტრატეგიის მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებაში	გამოავლინოსმყისიერი სახის შეფერხება, პრობლემას
მეთოდოლოგია[13]	• ინტერვიუები • ფოკუს ჯგუფები • სექტორის ირგვლიც არსებული მასალები	• ინტერვიუები • ფოკუს ჯგუფები • სექტორის ირგვლიც არსებული მასალები • პირველადი მონაცემების	თემიდან, საკითხიდან გამომდინარე

[13]შეფასების მეთოდოლოგიამ შეიძლება მუშაობის პროცესში ცვლილება განიცადოს ტექნიკურ დავალებაზე მუშაობის პროცესში.

	• პირველადი მონაცემების სტატისტიკური ანალიზი • მეორადი მონაცემების ანალიზი	სტატისტიკური ანალიზი • მეორადი მონაცემების ანალიზი	
შეფასების მეთოდი	• შიდა • შერეული • *გარე*	• შიდა • შერეული • *გარე*	• შიდა
დაფინანსება	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

შენიშვნა: ცხრილში მითითებული შეფასების მეთოდი, პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოს[14] მიხედვითორი ტიპისაა: ***შიდა,*** რომელიც ხორციელდება პოლიტიკის კოორდინაციასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელი საჯარო დაწესებულებების/შესაბამისი უწყების ფარგლებში, მისივე თანამშრომლების მიერ; ***შერეული,*** სადაც შეფასებაზე პასუხისმგებელ საჯარო დაწესებულებებს/შესაბამის უწყებებს შესაძლოა დახმარებას უწევდნენ დამოუკიდებელი გარე ექსპერტები ან ორგანიზაციები. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ქვეყნები წინასწარ, შუალედურ და საბოლოო შეფასებებს გარე, დამოუკიდებელი ექსპერტის ან ექსპერტების ჯგუფის მეშვეობით ატარებენ, რაც რა თქმა უნდა ზრდის შეფასების ობიექტურობას და იძლევა განსხვავებული პერსპექტივიდან არსებული სიტუაციის გაანალიზების საშუალებას. ნაწილობრივ, მეორე, შერეული მეთოდი მოიაზრებს ექსპერტების მოწვევას, თუმცა სრულად არ გამორიცხავს შეფასების პროცესში სახელმწიფო უწყების მონაწილეობას.

შეფასება რთული პროცესია. კარგად დაგეგმილი შეფასების პროცესის უზრუნველსაყოფად გამოსაყოფია რამდენიმე ეტაპი. ეტაპები აღწერილია ქვემოთ მოყვანილ სქემაზე.

გრაფა №2: შეფასების ეტაპები[15]



[14]მთავრობის საქმიანობის მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების სისტემები, საქართველოს მთავრობა2016. გვ. 13
[15]პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელო, საქართველოს მთავრობა, 2016. გვ. 26

გარდა ზემოთ მოცემული შეფასების ტიპების, შეფასება მოიცავს მონიტორინგთან ერთად პროგრამის განხორციელების თანმდევ შეფასების ღონისძიებებს. მყისიერი შეფასების ინსტრუმენტის გარდა, 6 თვის, წლიური ანგარიშების მომზადების პროცესი, ასევე არის შეფასების[16] კიდევ ერთი ინსტრუმენტი, რომ დროულად გამოვლინდეს და შეფასდეს სად არის პრობლემა, რა უნდა გაკეთდეს ამ პრობლების მოგვარებისთვის და ა.შ. დამატებით, სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ თვისებრივი (ხარისხობრივი) ინფორმაციის შეგროვების მიზნით, რომელიც ასევე უნდა იყოს წლიური ანგარიშის ნაწილი, მიზანშეწონილია წლის განმავლობაში სამინისტროების მონიტორინგისა და შეფასების გუნდმა (დეპარტამენტის სახელები შეიძლება განსხვავდებოდეს სამინისტროების მიხედვით) სამოქმედო გეგმაში გაწერილი ღონისძიებები შეაფასონ ბენეფიციარების/მიმღებების პერსპექტივიდან, რაც შეიძლება გაკეთდეს თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა ინტერვიუები, ფოკუს ჯგუფები, დაკვირვების წარმოება, პროგრამის ან აქტივობის შესახებ არსებული მასალები/ანგარიშების გაცნობით და ა.შ. მსგავსი შეფასებები უნდა ჩატარდეს წლიური ანგარიშის მომზადებამდე. ამ მიდგომის გამოყენება, უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს დაეხმარება სრული წარმოდგენა ქონდეს სოფლის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის როგორც რაოდენობრივ (ინდიკატორები), ასევე ხარისხობრივ შესრულებაზე.

5.4. სოფლის განვითარების სტრატეგიის შეფასებების[17] ჩატარების ვადა

#	**შუალედური შეფასების ღონისძიებები**	**შუალედური შეფასების ვადები**	**საბოლოო შეფასების ღონისძიებები**	**საბოლოო შეფასების ვადები**
1	შეფასების კითხვების, ტექნიკური დავალების და მეთოდოლოგიის მომზადება	2018 წლის ოქტომბერი/დეკემბერი	შეფასების კითხვების, ტექნიკური დავალების და მეთოდოლოგიის მომზადება	2021 წლის იანვარი/მარტი
2	შეფასების დაგეგმვა, განხორციელების გეგმის შემუშავება, შეფასების გუნდის განსაზღვრა	2018 წლის ოქტომბერი/დეკემბერი	შეფასების დაგეგმვა, განხორციელების გეგმის შემუშავება, შეფასების გუნდის განსაზღვრა	2021 წლის იანვარი/მარტი
3	შეფასების ჩატარება	2019 წლის იანვარი/თებერვალი	შეფასების ჩატარება	2021 წლის აპრილი/მაისი
4	შეფასების ანგარიშის მომზადება	2019 წლის იანვარი/მარტი	შეფასების ანგარიშის მომზადება	2021 წლის მაისი/ივნისი
5	მიგნებების და რეკომენდაციების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსთვის გაზიარება, საბჭოს შეფასებები და პასუხი	2019 წლის მარტი/აპრილი	მიგნებების და რეკომენდაციების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსთვის გაზიარება, საბჭოს შეფასებები და პასუხი	2021 წლის ივნისი/ივლისი
6	მიგნებების და რეკომენდაციების სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში ასახვა	2019 წლის აპრილი	მიგნებების და რეკომენდაციების ახალი სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში გათვალისწინება	2021 წლის ივლისი

[16]შეფასების ბუნებიდან გამომდინარე, უმჯობესია მსგავსი შეფასებებიც გაკეთდეს მოწვეული შეფასების ექსპერტის ან ექსპერტების ჯგუფის მიერ. დამატებით, იხილეთ შემდეგი რეგულაციები: Legal Text 13 Regulation (EU) No 1303/2013 – General Provision

[17]გამოყენებულია მთავრობის საქმიანობის მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების სისტემები, საქართველოს მთავრობა, 2016, გვ. 14-15.

7	შეფასების ანაგარიშის საზოგადოებისთვის გაცნობა	2019 წლის აპრილი	შეფასების ანაგარიშის საზოგადოებისთვის გაცნობა	2021 წლის ივლისი

შუალედური და საბოლოო შეფასებების ანგარიშების მიხედვით, მომზადდება სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შეფასებების შემაჯამებელი დოკუმენტი, სადაც არსებული შეფასებების მიხედვით გამოიკვეთება სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის ძირითადი მიღწევები და გამოწვევები, ახალი სოფლის განვითარების სტრატეგიის და პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით.

5.5. საზოგადოებასთან ურთიერთობა - კომუნიკაცია

სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შეფასებების შესახებ საჯაროდ გავრცელდება ინფორმაცია, როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობების დახმარებით. ასევე შეფასების მიგნებების და რეკომენდაციების შესახებ ინფორმაციის აქტიურ გავრცელებაში ჩართული იქნებიან სამოქმედო გეგმის შესრულებაში მონაწილე უწყებები. ჩატარდება უწყებათაშორისი საკოორდინაციო შეხვედრა, რომელიც ინფორმაციას მიაწოდებს საქართველოს მთავრობას შეფასების შედეგების შესახებ. მომზადდება შეფასების მიგნებების შესახებ ერთგვერდიანი საინფორმაცია მასალა, მოეწყობა პრესკონფერენციები, ინფორმაცია გავრცელდებავებგვერდების და სოციალური მედიის მეშვეობით.

6. მონიტორინგისა და შეფასების განხორციელებაზე პასუხისმგებლობა

სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგს უზრუნველყოფს საქართველოს სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომელიც შეიქმნა საქართველოს მთავრობის #639[18] დადგენილებით. საბჭოს თავმჯდომარეა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე. საბჭო სოფლის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მიმდინარეობის განსახილველად, სულ მცირე წელიწადში ორჯერ უნდა შეიკრიბოს და სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსახორციელებული პროექტების შესრულების შესახებ წარმართოს კონსულტაციების საბჭოს წევრ უწყებებთან.

საბჭომ სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტის მიერ მომზადებული 6 თვის, წლიური და საბოლოო ანგარიშები უნდა განიხილოს სტრატეგიის პრიორიტეტების, ამოცანების ჭრილში, შეაფასოს დასახული ღონისძიებების პროგრესი, გაანალიზოსრამდენად ეფექტიანად და ეფექტურად მიმდინარეობს პროგრამის განხორციელება, პროგრამის შესრულების დროს შეფერხებების ან შესრულების ინდიკატორებში ცვლილების, სამიზნე მაჩვენებლების განახლების შემთხვევაში, შეიმუშაოს რეკომენდაციები საბჭოს წევრი უწყებებისთვის და მოამზადოს შესაბამისი დოკუმენტაცია სტრატეგიის მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი სისტემის ჩარჩოში ცვლილებების შეტანისთვის.

[18] საქართველოს მთავრობის დადგენილება #639, საქართველოს სოფლის განვითარების უწებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მონიტორინგის სახელმძღვანელო მექანიზმია მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი სისტემის ჩარჩო, რომელსაც განიხილავს და ამტკიცებს საბჭო. ჩარჩო განახლებადი დოკუმენტია და ცვლილებების შეტანა შეიძლება განხორციელდეს საჭიროებისამებრ.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო კოორდინაციას უწევს და იღებს გადაწყვეტილებას 6 თვის, წლიური და საბოლოო კონსოლიდირებული ანგარიშების მომზადებაზე, რაშიც მას დახმარებას უწევს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტი. გარდა ამისა, იგივე დეპარტამენტი უზრუნველყოფს აღნიშნული ანგარიშების მომზადებას და წინამდებარე მონიტორინგს და შეფასების ერთიანი სისტემის ჩარჩოს შესაბამისად; დეპარტამენტი სხვა სამინისტროების და უწყებების შესაბამის ქვედანაყოფებთან თანამშრომლობით, კანონმდებლობის ფარგლებში, სრულყოფს მონიტორინგის და შეფასების პროცესს მონიტორინგისა და შეფასების სტანდარტების ევროპული გამოცდილების შესაბამისად.

6.1. პასუხისმგებელი სამინისტროები და უწყებები

ყველა სამინისტრო, რომელიც სოფლის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის ფარგლებში ღონისძიებების (მისი კომპონენტების) განხორციელებაზეა პასუხისმგებელი, ვალდებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარუდგინოს იმ ღონისძიებების (მისი კომპონენტების) განხორციელების პროგრესის ამსახველი ინფორმაცია 6 თვის, წლიური და საბოლოო ანგარიშების მოსამზადებლად და მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი ღონისძიებების შედეგების ანალიზის პროცესში. დამატებით, საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობა მიიღოს მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი სისტემის ჩარჩოს განახლებისა და ცვლილებების შეტანის პროცესში.

6.2. პასუხისმგებელი უწყებები და ორგანოები

ყველა პასუხისმგებელიუწყება და ორგანო, რომელიც სოფლის განვითარების სტრატეგიის ფარგლებში ღონისძიებების (მისი კომპონენტების) განხორციელებაზეა პასუხისმგებელი, ვალდებულია 6 თვის, წლიური და საბოლოო ანგარიშის ფორმატის მიხედვით მიაწოდოს ინფორმაცია შესაბამის ელექტრონულ ბაზაში ინფორმაციის განთავსებით, მათ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ შესაბამისი ღონისძიებების მონიტორინგის განხორციელებასა და მისი ეფექტიანი შესრულების რეკომენდაციების მომზადებაში.

7. სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა (ENPARD Georgia III) - საბიუჯეტო დახმარება

სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიისა და 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელებას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ევროკავშირის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD Georgia III) ფარგლებში ქვეყნისთვის გამოყოფილ საბიუჯეტო დახმარების ლოგიკური ჩარჩოს[19] ინდიკატორების შესრულებაში. მონაცემების და შემოწმების საშუალებების შეგროვებაზე სხვადასხვა უწყება თუ ორგანიზაციაა პასუხისმგებელი. მონაცემების და მტკიცებულებების საერთო კოორდინაციას უზრუნველყოფს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტი.

ევროკავშირის საბიუჯეტო დახმარების დოკუმენტი განსაზღვრავს 2017-2020 წლების სოფლის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის წარმატებით შესრულების გასაზომად შესრულების ინდიკატორებს, მათ შორის საბიუჯეტო შესრულების ინდიკატორებსაც. შესრულების ინდიკატორების ჩარჩოში გაწერილია 28 შესრულების ინდიკატორი (მათ შორის 10 ფინანსური ინდიკატორი) და ყველა ინდიკატორის მიხედვით გაწერილია შესრულების სამიზნე მაჩვენებელი. გარდა ამისა, ევროკავშირის საბიუჯეტო დახმარების შესრულების ინდიკატორების მატრიცა დეტალურად განმარტავს ინდიკატორების მახასიათებლებს სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით (შემსრულებელი, ინდიკატორის მახასიათებელი, მონაცემთა წყარო და ა.შ.) და შესრულების სამიზნე მაჩვენებლის შესაბამისად მიუთითებს წარსადგენი მონაცემების შესახებ ინფორმაციას. მიუხედავად, ინდიკატორების შესრულების სამიზნე წლებს შორის განსხვავებულობისა, ევროკავშირი მონაცემთა შეგროვების გრაფაში განმახორციელებელ უწყებებთან ერთად აკონკრეტებს მონაცემთა წყაროებსაც, სადაც მოლოდინია, რომ ყველა უწყება წლიურად ასახავს თითოეული შესრულების ინდიკატორის შესახებ პროგრესს მათივე სამინისტროების წლიურ ანგარიშებში. ასევე, აღსანიშნავია, რომ სოფლის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის პროგრესის შეფასებისთვის, ევროკავშირი ინდიკატორების შესრულების მატრიცაში ცალკე პუნქტად მიუთითებს სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების ერთიანი სისტემის ჩარჩოს მეშვეობით თვისობრივი და რაოდენობრივი შედეგების მონაცემების შეგროვებას, რაც თავის მხრივ ხაზს უსვამს სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის განხორციელებაში მონაწილე უწყებების მხრიდან მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესის მონიტორინგის და შეფასების ერთიანის სისტემის ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად უზრუნველყოფას. ევროკავშირთან ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (რომელსაც ტექნიკურ მხარდაჭერას უწევს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო) ინდიკატორის მონიტორინგის გეგმის დახმარებით შეაგროვებს სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ აქტივობისა და ამოცანის დონის ინდიკატორებისთვის მონაცემებს, რომელიც დამუშავდება და გაანალიზდება საბჭოს წლიურ ანგარიშებში. სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშებისთვის შეგროვებული მონაცემებთან ერთად, თითოეული მონაწილე უწყება ვალდებულია წარმოადგინოს მონაცემთა წყარო (მიაწოდოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

[19]ევროკავშირის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD Georgia III) ლოგიკური ჩარჩოს სრული ვერსია იხილეთ დანართი 13.

სამინისტროსპოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტს არქივიზაციისთვის და პარალელურად უზურნველყოს იგივე მონაცემთა წყაროს მისივე უწყების წიაღში შენახვა).

ქვემოთ მოცემულია, ევროკავშირის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD Georgia III) 2017-2010 წლების სოფლის განვითარების მხარდასაჭერად გამოყოფილი საბიუჯეტო დახმარების შესრულების კონკრეტული ინდიკატორების ჩამონათვალი[20]:

#	ინდიკატორის ნუმერაცია და დასახელება	#	ინდიკატორის ნუმერაცია და დასახელება
1. პრიორიტეტული სფერო - ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა			
1.	1.1.1 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის, 2018 წლის სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის დამტკიცებული ბიუჯეტის ფაქტიური ხარჯვა შეადგენს სულ მცირე 70%-ს.	4.	1.2.1 სოფლად მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, 2018 წლის სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის დამტკიცებული ბიუჯეტის ფაქტიური ხარჯვა შეადგენს სულ მცირე 70%-ს.
2.	1.1.2 01.01.2017-31.12.2019 წლებში, სულ მცირე 100 მოქმედი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი მიიღებს დახმარებას სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში.	5.	1.2.2 01.01.2017-31.12.2019 წლებში, სოფლად, სულ მცირე 3000 მოქმედი მცირე და საშუალო საწარმო მიიღებს დახმარებას სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში.
3.	1.1.3 01.01.2017-31.12.2020 წლებში, სულ მცირე 15%-ით გაიზრდება მელიორირებული ფართობი სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში საბაზისო სიდიდესთან მიმართებაში.	6.	1.2.3 01.01.2017-31.12.2020 წლებში, სოფლად, სულ მცირე 2000 კურსდამთავრებულ ბენეფიციარს ტრენინგის გზით გაუმჯობესებული ექნება სამეწარმეო უნარ-ჩვევები სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში, საიდანაც სულ მცირე 500 კურსდამთავრებულმა გაზარდა გაყიდვები და სულ მცირე 40 ბენეფიციარმა შექმნა ახალი მოქმედი მცირე და საშუალო საწარმო.
2. სოციალური პირობები და ცხოვრების დონე			
1.	2.1.1 სოფლად ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერისთვის, 2018 წლის სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის დამტკიცებული ბიუჯეტის ფაქტიური ხარჯვა შეადგენს სულ მცირე 70%-ს.	4.	2.2.1 პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისთვის, 2018 წლის სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის დამტკიცებული ბიუჯეტის ფაქტიური ხარჯვა შეადგენს სულ მცირე 70%-ს.
2.	2.1.2 სოფლად, სულ მცირე 1150 დასახლებაში დასრულდება ახალი ან გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურის მშენებლობა/აღდგენა 2019 წლის 31 დეკემბერის ბოლომდე.	5.	2.2.2 01.01.2018-31.12.2019 წლებში, საბაზისო მაჩვენებლის სიდიდესთან შედარებით, სოფლად ბენეფიცირების სულ მცირე 5%-ს დასრულებული ექნება პროფესიული მომზადება-გადამზადების კურსები, რომელიც შემუშავებულია დამსაქმებელის მონაწილეობით სამუშაოს უნარ-ჩვეების გაუმჯობესების მიზნით.

[20] 2017-2020 წლების სოფლის განვითარების სტრატეგიის და 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის, ევროკავშირის საბიუჯეტო დახმარების დოკუმენტების სრული პაკეტი, სადაც დეტალურად არის გაწერილი დახმარების მოთხოვნები, მათ შორის ჩარევის ლოგიკა და ინდიკატორების შესრულების მატრიცა, მიწოდებულია ყველა განმახორციელებელ სამინისტროსთან და ინახება სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტში ინგლისურ ენაზე.

3.	2.1.3 31.12.2020 წლის ჩათვლით სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სულ მცირე 35%-ს გაეზრდება ხელმისაწვდომობა ახალ და/ან გაუმჯობესებულ ინფრასტრუქტურაზე	6.	2.2.3 01.01.2018-31.12.2020 წლებში საბაზისო მაჩვენებლის სიდიდესთან შედარებით სულ მცირე 100%-ით გაზრდილია სოფლად პროფესიული მომზადება-გადამზადების კურსებში და რეალურ სამუშაო გარემოში დასწავლილი უნარ-ჩვევების მქონე სტუდენტების რაოდენობა, სადაც შეფასების პროცესში მონაწილეობას იღებს დამსაქმებლებიც.
3. პრიორიტეტული სფერო - გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა			
1.	3.1.1 ტყის მართვის გეგმებისთვის 2018 წლის სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის დამტკიცებული ბიუჯეტის ფაქტიური ხარჯვა შეადგენს სულ მცირე 70%-ს.	4.	3.2.1 საქართველოს დაცული ტერიტორიების მდგრადი მართვისთვის 2018 წლის სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის დამტკიცებული ბიუჯეტის ფაქტიური ხარჯვა შეადგენს სულ მცირე 70%-ს.
2.	3.1.2 01.01.2017-31.12.2019 წლებში, საქართველოს ტყის კოდექსის მიერ გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით შექმნილია სულ მცირე 6 ახალი ტყის მართვის გეგმა.	5.	3.2.2 01.01.2017-31.12.2019 წლებში, სულ მცირე 3 ახალი დაცული ტერიტორია იმართება მენეჯმენტის გეგმებით.
3.	3.1.3 01.01.2017-31.12.2020 წლებში, სულ მცირე 17 %-ით გაზრდილია ტყის ფართობი, რომელიც იმართება ტყის მართვის გეგმებით.	6.	3.2.3 31.12.2020 წლისთვის, საბაზისო სიდიდესთან შედარებით ტერიტორიული ერთეულების სულ მცირე 50%-ს აქვს მართვის გეგმები.
4. პრიორიტეტული სფერო - სოფლის განვითარების მმართველობა			
1.	4.1.1. 31.12.2017 საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულია განფასებული და საბიუჯეტო დახმარების დოკუმენტში ასახულია 2018-2020 წლების სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმა.	5.	4.2.1 სოფლის განვითარების იწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო წარუდგენს 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმას დაინტერესებულ მხარეებსა და მედიის წარმომადგენლებს.
2.	4.1.2 2018-2020 წლების სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის დამტკიცებული ბიუჯეტის ფაქტიური ხარჯვა 2018 წლის სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმისთვის შეადგენს სულ მცირე 70%-ს.	6.	4.2.2 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით 2018 წლის გეგმის განხორციელების თვისობრივი და რაოდენობრივი შედეგები შესაბამისობაშია 2018 წლისთვის განსაზღვრულ შედეგებთან.
3.	4.1.3 2018-2020 წლების სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის დამტკიცებული ბიუჯეტის ფაქტიური ხარჯვა 2019 წლის სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმისთვის შეადგენს სულ მცირე 75%-ს.	7.	4.2.3 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით 2019 წლის გეგმის განხორციელების თვისობრივი და რაოდენობრივი შედეგები შესაბამისობაშია 2019 წლისთვის განსაზღვრულ მოსალოდნელ შედეგებთან.
4.	4.1.4 2018-2020 წლების სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის დამტკიცებული ბიუჯეტის ფაქტიური ხარჯვა 2020 წლის სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმისთვის შეადგენს სულ მცირე 80%-ს.	8.	4.2.4 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით 2020 წლის გეგმის განხორციელების თვისობრივი და რაოდენობრივი შედეგები შესაბამისობაშია 2020 წლისთვის განსაზღვრულ მოსალოდნელ შედეგებთან.

ყურადსაღებია, რომ საბიუჯეტო დახმარების დოკუმენტი განსაზღვრავს ინდიკატორების შესრულების, კონკრეტულად კი 4.2.2, 4.2.3 და 4.2.4 ინდიკატორების, დამაკმაყოფილებელ შესრულებად მოსალოდნელი შედეგების 80%-ის შესრულებას. საბიუჯეტო დახმარების ჩანაწერი განმარტავს: 2018 წლის სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის განხორციელების შეფასება, არის თუ არა

თვისობრივი და რაოდენობრივი შედეგები შესაბამისობაში იმავე წლის, რომელიც არის 2018-2020 წლების სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის ნაწილი, მონიტორინგისა და შეფასების ერთიანის სისტემის ჩარჩოში განსაზღვრულ შედეგების შესრულებასთან შესაბამისობაში, თანმდევი ცვლილებების გათვალისწინებით. სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის, თითოეული პრიორიტეტული სფეროს ამოცანების დონის 2018 წლის თითოეული ინდივიდუალური ინდიკატორის შესრულების გაანალიზების საფუძველზე, როგორც ეს არის გაწერილი სოფლის განვითარების 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმაში. ჩაითვლება რომ ინდიკატორი საკმარისად შესრულდა, თუ 2018 წლისთვის გათვალისწინებული მოსალოდნელი შედეგების, სულ მცირე 80%-ის მიღწევა იქნა შესაძლებელი. უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ წარდგენილ 2018 წლის წლიურ ანგარიშს, თან უნდა ერთვოდეს შედეგების შეფასება, მათ შორის მონიტორინგისა და შეფასების ერთიანის სისტემის ჩარჩოს მიერ შეგროვებული მონაცემები. იგივე ჩანაწერი შეესაბამება 2019 და 2020 წლების სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის შესრულების ინდიკატორებსაც.

ბოლოს კი, აღსანიშნავია, რომ საბიუჯეტო დახმარების ზოგადი პირობების ინდიკატორებიდან ერთ-ერთი - საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის პროგრესის დამაკმაყოფილებელი შესრულება, რომელიც იზომება წლიურად მონიტორინგისა და შეფასების ერთიანის სისტემის ჩარჩოს საფუძველზე მომზადებული სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის განხორციელების წლიური ანგარიშების მიხედვით, სადაც როგორ ზემოთაც არის აღნიშნული, გაწერილი უნდა იყოს ამოცანების ინდიკატორების (წლიურად) სულ მცირე 80%-იანი შესრულება, რათა ინდიკატორების შესრულება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს.

დანართები:

დანართი 1. სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის 2018-2020 წლების ლოგიკური ჩარჩო

	შედეგების კავშირი	ინდიკატორები	საბაზისო მაჩვენებელი (წელი)	სამიზნე მაჩვენებლები	მონაცემთა წყარო და შემოწმების საშუალებები	დაშვებები / რისკები
პრიორიტეტებია მოცანა (ები)						
ამოცანები შედეგი (ები)						
აქტივობა, მყისიერი შედეგები						
ღონისძიებები		საშუალებები ღირებულება				

დანართი 2.ამოცანის ინდიკატორის აღწერა

ზოგადი ინფორმაცია	
ინდიკატორის ნომერი / სახელწოდება:	მიუთითეთ ინდიკატორის ნომერი და სახელწოდება, სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის მიხედვით.
შესაბამისი ამოცანის სახელწოდება:	მიუთითეთ იმ ამოცანის სახელწოდება, რომელსაც ინდიკატორი შეესაბამება, სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის მიხედვით.
შესაბამისი პრიორიტეტი:	მიუთითეთ, იმ პრიორიტეტის სახელწოდება, რომლის შესრულებასაც ზემოთ დასახელებული ამოცანა შეესაბამება, სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის მიხედვით.
შესაბამისი აქტივობა(ები):	მიუთითეთ, რომელ აქტივობებს შეაქვთ წვლილი ინდიკატორის მაჩვენებლის მიღწევაში, სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის მიხედვით
პასუხისმგებელი სამინიტრო/სააგენტო(ები):	მიუთითეთ, შესაბამისი სამინისტრო(ები) და უწყება(ები), რომელიც(რომლებიც) პასუხისმგებელი(ლები) არიან ინდიკატორის(ების) შესრულებაზე სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის შესაბამისად
ინდიკატორის აღწერა	
გაზომვის ერთეული:	მიუთითეთ, გაზომვის ერთეული (მაგალითად: ცალი, ჰექტარი, ტონა, ლარი, პროცენტი და ა.შ.)
შეგროვების სიხშირე:	მიუთითეთ, რა პერიოდულობით მოხდება ინდიკატორის სიდიდისთვის მონაცემების შეგროვება
საბაზისო მაჩვენებელი (წელი და სიდიდე):	მიუთითეთ, საბაზისო მაჩვენებლის წელი და სიდიდე
სამიზნე მაჩვენებელი (წელი და სიდიდე):	მიუთითეთ, სამიზნე მაჩვენებლის წელი და სიდიდე
ინდიკატორის ხარისხი	
ძირითადი მონაცემების მახასიათებლები:	დეტალურად აღწერეთ ინდიკატორის სახელწოდებაში გამოყენებული ტერმინები, რათა თავიდან ავიცილოთ განსხვავებული ინტერპრეტირება, (მაგალითად ვინ არის ბენეფიციარი, რას ნიშნავს არსებული ან ახალი საწარმო).
მონაცემთა შეგროვების მეთოდი(ები) (კვლევა, ადმინისტრაციული შეგროვება და ა.შ.):	მიუთითეთ, როგორ აპირებთ მონაცემების შეგროვებას - რა მეთოდებს გამოიყენებთ - კვლევა, ადმინისტრაციული შეგროვება, ინტერვიუ, მონიტორინგის ფორმები, ელექტრონული მონაცემთა ბაზა ან სხვა.
მონაცემთა წყარო / მონაცემთა ადგილმდებარეობა:	მიუთითეთ, რომელი უწყებიდან ან ორგანიზაციიდან ხდება მონაცემების შეგროვება (მაგალითად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცხრილები და ა.შ.) და სად მოხდება შესაბამისი მონაცემების შენახვა/განთავსება
დაანგარიშების მეთოდი/ტიპი:	მიუთითეთ, როგორ აპირებთ მიღებული მონაცემების საფუძველზე დაანგარიშებას.
შეზღუდვები	
რისკები, შეზღუდვები	რა რისკებთან და შეზღუდვებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული ინდიკატორის შესრულება.
ვადა	
მონაცემების მოწოდების თარიღი:	მიუთითეთ როდისთვის მოხდება მონაცემების მოწოდება და რა პერიოდის მონაცემებს მოიცავს.
შენიშვნა/სხვა ინფორმაცია	
დამატებით, მიუთითეთ ინდიკატორთან მიმართებაში გასათვალისწინებელი გარემოებები.	

დანართი 3. ინდიკატორის მონიტორინგის გეგმა (ელექტრონული მონაცემთა ბაზისთვის)

ინდიკატორის დონე	ინდიკატორის სახელი	აღწერა	გაზომვის ერთეული	დისაგრიგაცია / ჩაშლა	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი პირი/უწყება	ანგარიშგების სიხშირე
პრიორიტეტული სფერო 1. ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა							

დანართი 4. ინდიკატორის საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლების გეგმა (ელექტრონული მონაცემთა ბაზისთვის)

ინდიკატორის დონე	ინდიკატორის სახელი	გაზომვის ერთეული	ინდიკატორის კლასიფიკაცია	საბაზისო მაჩვენებელი	2018	2019	2020	შენიშვნა
პრიორიტეტული სფერო 1. ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა								

დანართი 5. ინდიკატორის საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლების გეგმა (შეფასებისინდიკატორების კონკრეტული შეფასების გეგმისთვის)

ინდიკატორის დონე	ინდიკატორის სახელი	გაზომვის ერთეული	ინდიკატორის კლასიფიკაცია	საბაზისო მაჩვენებელი	2018	2019	2020	შენიშვნა
პრიორიტეტული სფერო 1. ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა								

დანართი 6. ბენეფიციარის ფორმა

#	**დასახელება**	**აღწერა**	
1	**აქტივობის სახელი**		
2	**პროგრამის დასახელება**		
3	**პროგრამის განხორციელების არეალი**[21]	სოფელი[22]	დასახელება
		ადმინისტრაციული ცენტრი	დასახელება
		მუნიციპალიტეტი	დასახელება
		რეგიონი	დასახელება
4	**სქესი**	ქალი	რაოდენობა
		კაცი	რაოდენობა
5	**ასაკობრივი ჯგუფი**	14 – 29 წელი[23]	რაოდენობა
		30 – 45 წელი	რაოდენობა
		46 – 60 წელი	რაოდენობა
		60 და მეტი	რაოდენობა
6	**ეთნიკური მიკუთვნებულობა**	ქართველი	რაოდენობა
		აზერბაიჯანელი	რაოდენობა
		სომეხი	რაოდენობა
		რუსი	რაოდენობა
		ოსი	რაოდენობა
		აფხაზი	რაოდენობა
		ქურთი	რაოდენობა
		სხვა (მიუთითეთ)	რაოდენობა
7	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი[24], კერძოდ: მკვეთრად გამოხატული შშმ პირი; მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირი და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი[25]	რაოდენობა	

[21]იდეალური იქნება სოფლის მიხედვით მოხდეს მონაცემების შეგროვება. სხვა შემთხვევაში, კარგი იქნება მუნიციპალიტეტებისა და შესაბამისი რეგიონების მიხედვით შეგროვება. თუ მუნიციპალიტეტის ან/და რეგიონის მიხედვით შეგროვდება ინფორმაცია, კარგი იქნება მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლების შესახებ ინფორმაცია ცალკე დაჯამდეს შესაბამისი სქესის, ასაკისა და ეთნიკური მიკუთვნებულობის მიხედვით.

[22]მიუთითეთ სოფლის სტატუსი

[23]საქართველოსსახელმწიფოახალგაზრდულიპოლიტიკა.

[24]იხ: კანონი #756-11ს - საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ

[25] იხ. საქართველოს კანონი „სამედიცინო - სოციალური ექსპერტიზის შესახებ“.

დანართი 7. 6 თვის ანგარიშის ფორმა[26]

6 თვის ანგარიშგების მიზანი

სოფლის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშგების ძირითადი მიზანია სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების შესრულების მონიტორინგი.კონკრეტულად კი იმის განსაზღვრა თუ რამდენად შესრულდა ან რამდენად რეალისტურია დაგეგმილი აქტივობების შესრულება.

სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ევროკავშირის ყველა ქვეყანაში შესაბამისი მონიტორინგის ჩარჩოს მიხედვით[27]. მონიტორინგის და შეფასების ძირითადი მოთხოვნები მოცემულია შესაბამის დირექტივაში[28].

საქართველოს სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის მონიტორინგიც ასევე განხორციელდება მონიტორინგის და შეფასების ჩარჩოს შესაბამისად.
მონიტორინგის ეფექტურად განხორციელების მიზნით, მიზანშეწონილია ანგარიშგება წარმოდგენილი იყოს ქვემოთ მოცემული ფორმატით.

ინფორმაცია ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით

ეფექტური მონიტორინგისსთვისანგარიშგება ხორციელდება როგორც **ინდიკატორების** ასევე **ბიუჯეტის** შესრულებაზე. პასუხისმგებელი უწყებების მიერ ანგარიშგების წარმოდგენა ხდება სპეციალურად შემუშავებული ფორმის მიხედვით (იხ. დანართი). აღნიშნულ ფორმაში პირველი სამი გრაფის შესავსები ინფორმაცია აიღება სამოქმედო გეგმიდან. დანარჩენი ველების შევსების წესი კი ასეთია:

- **ინდიკატორის შესრულება:** მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაცია ინდიკატორების შესრულებაზე ზუსტად აღწერდეს ინდიკატორის შესრულებას, მაქსიმალური სიზუსტით და ანალოგიური ტერმინოლოგიის გამოყენებით. ინფორმაციის ბუნდოვანებამ, ასევე, ნაკლები ან ზედმეტი ინფორმაციის არსებობამ, შესაძლოა გაართულოს იმის შეფასება თუ რამდენად რეალისტურია დაგეგმილი სამუშაობის შესრულება და/ან ინდიკატორის მიღწევა.

სხვა ინფორმაცია, რაც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს ინდიკატორის შესრულების თაობაზე სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად, უნდა დაიწეროს ცალკე - გრაფაში „განხორციელებული ღონისძიებები“.

იმ შემთხვევაში, თუ სამიზნე ინდიკატორის (წლიურის) შესრულება შუალედური ანგარიშგების კონკრეტული პერიოდისთვის (მაგ: პირველ 6 თვეში) ლოგიკური მიზეზების

---

[26] *მონიტორინგის და შეფასების ჩარჩოს მიღების შედეგად შეიცვლება კვარტალური ანგარიშის წარმოდგენის ფორმატი.*

[27] *შენიშვნა: ევროკავშირის ქვეყნებში სოფლის პოლიტიკის ძირითადი დოკუმენტია სოფლის განვითარების პროგრამა (Rural Development Plan – RDP), რომელიც კომპლექსური და ყოვლისმომცველი დოკუმენტია*

[28] ***REGULATION (EU) No 1305/2013***

გამო ვერ მოხდებოდა და არც იყო დაგეგმილი *(მაგ, როდესაც საჭიროა მოსამზადებელი სამუშაოები, ინტერესთა გამოხატვის ან ტენდერის გამოცხადება, საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავება და ა.შ),* მნიშვნელოვანია, რომ ეს აღიწეროს გრაფაში „განხორციელებულ ღონისძიებები“ და მიეთითოს მკაფიოდ (იხ: განხორციელებული ღონისძიებების ნაწილი).

- **ბიუჯეტის შესრულება:** გამომდინარე იქედან, რომ სამოქმედო გეგმის საპროგნოზო ბიუჯეტი და შესრულების ინდიკატორები განისაზღვრება მთელი წლის პერიოდისთვის, ხოლო აქტივობა სხვადასხვა ფაზებისგან შედგება, რიგ შემთხვევებში შესაძლოა ტექნიკურად რთული იყოს ინდიკატორების შესრულების და ბიუჯეტის ხარჯვის ანგარიშგებიდან დასკვნების გაკეთება. ამიტომ დამატებითი ინფორმაცია უნდა მიეთითოს ცხრილში, როგორც წესი, გრაფაში „განხორციელებული ღონისძიებები“.

მაგალითად: აქტივობის - “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება” შესრულების ინდიკატორები არის 350-მდე საჯარო სკოლის რეაბილიტაცია და 6-მდე ახალი სკოლის მშენებლობა და ამისთვის გამოყოფილია 42 მლნ ლარი, შესრულების შუალედურ ანგარიშში გრაფაში “ინდიკატორის შესრულება” უნდა ჩაიწეროს სკოლების რაოდენობა, რომელთაც უკვე ჩაუტარდა რეაბილიტაცია და აშენდა. ბიუჯეტის შესრულებაში მიეთითება თანხის ის მოცულობა, რომელიც უკვე დახარჯულია. იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული რაოდენობის სკოლების რეაბილიტაცია/მშენებლობა დაწყებულია და საანგარიშო პერიოდისთვის არ არის დასრულებული, ისინი არც ინდიკატორის შესრულებაში გამოჩნდება და, სავარაუდოდ, არც თანხა იქნება მათთვის გადახდილი. იმისათვის რომ შემფასებელს სწორი წარმოდგენა შეექმნეს, ეს რაოდენობა და შესაბამისი განმარტება მიეთითება გრაფაში “განხორციელებული ღონისძიებები”.

- **განხორციელებული ღონისძიებები** (მოკლე აღწერა): მიეთითება ის მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რაც განხორციელდა ინდიკატორის მიღწევისთვის ან/და პროგრამის განხორციელებისთვის. ასევე, მიუთითეთ რამდენად რეალურია საპროგნოზო ინდიკატორის და ბიუჯეტის შესრულება. თუ არარეალურია, მაშინ დეტალურად განმარტეთ შემაფერხებელი ფაქტორები გრაფაში „ინდიკატორების/ბიუჯეტის შესრულების შემაფერხებელი ფაქტორები და რისკები“.
- **ინდიკატორების/ბიუჯეტის შესრულების შემაფერხებელი ფაქტორები და რისკები** (მოკლე აღწერა): იმ ფაქტორების და გარემოებების მოკლე აღწერა, რამაც გამოიწვია შესრულების შეფერხება. ბიუჯეტის ხარჯვის შემთხვევაში ეს შესაძლოა არ იყოს შეფერხება და გამოწვეული იყოს კონკრეტული აქტივობის სპეციფიურობით,

მაგალითად იმ გარემოებით, რომ ბიუჯეტის ხარჯვა ამ ღონისძიებისთვის არ ხდება 6 თვის მიხედვით და ხდება ღონისძიების დასრულების შემდგომ.

- **სამიზნე ინდიკატორის და საპროგნოზო ბიუჯეტის შესრულების რისკის მაკომპენსირებელი ღონისძიებები:** მნიშვნელოვანია იმ ღონისძიებების მითითება, რაც უკავშირდება ინდიკატორის შესრულებას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ შესრულება შეფერხებულია ან არსებობს რისკები რომ შესრულება შეფერხდეს. ინფორმაცია უნდა ასახავდეს ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია რისკების შემცირებისთვის/შეფერხების აღმოფხვრისთვის.

ანგარიშზე მუშაობის დროს გასათვალისწინებელი გარემოებები:

- ინფორმაცია იყოს კონკრეტული, მკაფიო, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი მისი ინტერპრეტირების შესაძლებლობა. იქ სადაც მოგეთხოვებათ შინაარსობრივი ინფორმაციის მოწოდება, ყურადღება გამახვილდეს მხოლოდ ინდიკატორის შესრულებასთან დაკავშირებულ ფაქტებზე.
- გრაფებში არ უნდა მეორდებოდეს შინაარსობრივად მსგავსი ინფორმაცია. თუ ანგარიშგების მომენტისათვის ინდიკატორის სიდიდე ჩამორჩება მოსალოდნელ სიდიდეს (სიდიდე, რომელიც ნორმალური იქნებოდა წლიური გეგმის შეუფერხებლად შესრულებისათვის) ინდიკატორების/ბიუჯეტის შესრულების შემაფერხებელი ფაქტორების და რისკების მოკლე აღწერაში დეტალურად გაწერთ შემაფერხებელ გარემოებებს;
- ინდიკატორის შესრულებაში მიუთითეთ რიცხვი ან პროცენტი, მაგრამ თუ ინდიკატორის შესრულება იზომება სხვადასხვა ცვლადით - ახალი, არსებული, მაშინ რიცხვის ან პროცენტის გასწვრივ მიუწერეთ შესაბამისი ცვლადის სახელი (რა თქმა უნდა ეს არ ეხება იმ ინდიკატორებს, სადაც ინფორმაცია რიცხობრივად არ არის გამოხატული). ნუ გადმოიტანთ პროექტის ან პროგრამის აღწერას;
- თუ ინდიკატორის შესრულება რამდენიმე რიცხვით არის გამოხატული, მაგალითად აღიჭურვა 80 კოოპერატივი, გადაეცა 80 სკა, 15 საწური, იგივე თანმიმდევრობით მიუთითეთ რიცხობრივი ინფორმაციაც;
- იმ შემთხვევაში თუ სურვილი გაქვთ ინდიკატორთან დაკავშირებით გააზიაროთ ინფორმაცია წარმატების ან მიღებული გამოცდილების შესახებ, მაშინ მსგავსს ინფორმაციას ნუ ჩაწერთ ინდიკატორის შესრულების, ან განხორციელებული ღონისძიებების გრაფაში, ჩაწერეთ შენიშვნების გრაფაში ან ცალკე დოკუმენტის სახით თან დაურთეთ სამოქმედო გეგმას.

დანართი: მაგალითი შესრულების ანგარიშისთვის

აქტივობა	შესრულების ინდიკატორი	საპროგნოზო ბიუჯეტი (000'ლარი)	ინდიკატორის შესრულება	ბიუჯეტის შესრულება	განხორციელებული ღონისძიებები	ინდიკატორების/ ბიუჯეტის შესრულების შემაფერხებელი ფაქტორებიდა რისკები	შემდგომი ნაბიჯები/დაგეგმილი ღონისძიებები შედეგის მისაღწევად
მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერა	150 საწარმოს შექმნის/გაფართოების მხარდაჭერა	15,000.0	მხარდაჭერილია 30 საწარმოს შექმნა/გაფართოება. მათ შორის: • 20 საწარმოს შექმნა • 10 საწარმოს გაფართოება	2,000.0	მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 30 საწარმოა მხარდაჭერილი, გეგმის შესრულება რეალისტურია გადაჭარბებითაც კი, რადგან ტექნიკური სამუშაოები კიდევ 180 საწარმოს შესარჩევად დასრულებულია და მალე დაიწყება მხარდაჭერა.	იმისათვის, რომ საწარმომ მიიღოს მხარდაჭერა, სავალდებულოა მან წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება სპეციალური ფორმატით, რაც ხშირად უჭირთ მცირე საწარმოებს.	მიღწეულია შეთანხმება დონორთან, რომ შერჩეულ საწარმოებს გაეწევათ ტექნიკური დახმარება ფინანსური ანგარიშგების შევსებაში. ტექნიკური დახმარების დაწყების თარიღი ჯერ-ჯერობით არ არის ცნობილი.

დანართი 8. წლიური ანგარიშის ფორმა[29]

1. რეზიუმე/შესავალი

ამ ნაწილში მოცემულია მოკლე ინფორმაცია წინსვლის შესახებ სტრატეგიის ყოველ ამოცანასთან მიმართებით, რომელიც დაფუძნებულია შესრულების ინდიკატორებზე და ინფორმაცია მოცემულ დარგში ძირითადი რეფორმების განხორციელების მსვლელობის შესახებ. წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ მიღწევები ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელებაში. ღონისძიებების მნიშვნელოვნება განისაზღვრება ღონისძიების ზემოქმედების ფარგლების, პოლიტიკურ დღის წესრიგში მისთვის დათმობილი ყურადღების, მედიასაშუალებების ან სამოქალაქო საზოგადოებრიობის ინტერესის საფუძველზე. მიღწევების თვალსაჩინოებისათვის შეიძლება სქემების, ცხრილებისა და სურათების გამოყენება.

რეზიუმე გამოყენებული უნდა იქნეს გადაწყვეტილების მიმღებთა, ფართო საზოგადოების ან დაინტერესებული მხარეების ინფორმირებისათვის.

2. ამოცანების შესრულება

ამ ნაწილში აღიწერება წინსვლა სტრატეგიის ყოველი ამოცანის შესრულებასთან მიმართებით. ასევე მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია კონკრეტულ წელს განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს ცხრილები და სქემები.

2.1. წინსვლა ყოველ ამოცანასთან (ამოცანის დასახელება) მიმართებით

წინსვლა ამოცანასთან მიმართებით აღიწერება შესრულების ინდიკატორებისა და ღონისძიებების საფუძველზე. წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია მიღწეულ იქნა თუ არა შესრულების ინდიკატორის სამიზნე ნიშნული; წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც უმთავრესი გატარებული რეფორმების აღწერა, ასევე სამიზნე ნიშნულების ვერმიღწევის მიზეზები. ეს ინფორმაცია ქმნის წარმოდგენას იმაზე, უახლოვდება თუ არა სტრატეგია სამიზნე ნიშნულებს.

ყოველი ქვეთავი შეიძლება შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

1) ძირითადი მიღწევების შეფასება შესრულების ინდიკატორების გამოყენებით (გამოყენებული უნდა იქნეს სქემები);
2) წარმატებული ისტორიები;
3) პრობლემების/გამოწვევების შეფასება;
4) დასკვნები და შემდგომი ნაბიჯები.

სამოქმედო გეგმა

ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას თითოეული აქტივობის შესრულების თაობაზე.

[29] იხ. პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელო, საქართველოს მთავრობა, 2016, გვ. 42-43

დანართი 9. საბოლოო ანგარიშის ფორმა[30]

1. შესავალი

ამ ნაწილშია მოცემულია ზოგადი ინფორმაცია პრიორიტეტებთან დაკავშირებით (მაგ.: პრიორიტეტები, ღონისძიებათა რაოდენობა, განხორციელებაში მონაწილე სამინისტროები და ა.შ.);

2. მთავრობის საბოლოო სამუშაო გეგმის საერთო სურათი

ამ ნაწილში მოცემულია შემდეგი ინფორმაცია:

- საერთო წინსვლა ყველა ღონისძიების განხორციელებასთან მიმართებით (სქემატური გამოსახულების ჩათვლით);
- წინსვლა თითოეულ პრიორიტეტულ სფეროსთან მიმართებით (სქემატური გამოსახულების ჩათვლით);
- წინსვლა თითოეული სამინისტროს მიხედვით (სქემატური გამოსახულების ჩათვლით);

3. შეჩერებული პროექტები და ღონისძიებები

ამ ნაწილში მოცემულია შეჩერებული ღონისძიებების ჩამონათვალი და შეჩერების ან გადავადების მიზეზები.

დანართები

დანართი №1: XXX წლის სამოქმედო გეგმის შესრულება
ზემოთ წარმოდგენილი ინფორმაციის მხარდასაჭერად შეიძლება ნებისმიერი დანართის თანდართვა.

[30] იხ. პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელო, საქართველოს მთავრობა, 2016, გვ. 42-43

დანართი 10. საინფორმაციო ფურცელი[31]

შესავალი

რატომ სოფლის განვითარება, სტრატეგიის ხანგრძლივობა, სტრატეგიის ხედვა, პრიორიტეტები, ამოცანები.

სამიზნე ჯგუფები

ვინ არიან სოფლის განვითარების სტრატეგიის სამიზნე ჯგუფები (ბენეფიციარები) -საერთო რაოდენობა, სტატისტიკური ინფორმაცია, გრაფიკულად გაფორმებული - სქესი, ასაკი, ეთნიკური მიკუთვნებულობა, რეგიონი და ა.შ. შეიძლება გრაფიკულად გამოისახოს ბენეფიციარების რაოდენობები პროგრამების მიხედვით (მონაცემების არსებობის შემთხვევაში).

წარმატებები / მიღწევები

წარმატებების და მიღწევების მოკლე მიმოხილვა, სტატისტიკური მაჩვენებლები გრაფიკული გაფორმებული - განხორციელებული პროექტების რაოდენობა, ტრენინგების შემთხვევაში შეიძლება ცოდნის ზრდის მაჩვენებელის ჩვენება და კავშირი დასაქმების რაოდენობასთან, დასაქმებულების რაოდენობა და ა.შ. შეიძლება ასევე დაემატოს გრაფიკული გამოსახულება ძირითადი შესრულების ინდიკატორების მიხედვით და არა სათითაოდ პროგრამების ჩაშლით (პროგრამები ბევრია და შესაბამისად რთული იქნება ერთგვერდიანი ინფოგრაფიკის მეშვეობით ასახვა).

ბიუჯეტი

სახელმწიფო, პარტნიორი ორგანიზაციების და ა.შ. თანხობრივი მონაწილეობა. დამატებით, თუ შესაძლებელია ჩვენება, როგორი იყო მიმართება პროგრამულ და ადმინისტრაციულ დანახარჯებს შორის ეფექტურობის და პროდუქტიულობის საჩვენებლად.

[31]საინფორმაციო ფურცელი კარგია მომზადდეს ე.წ. ინფოგრაფიკის სტილში. გარდა ზემოთ განხილული ინფორმაციის, ის თუ რა შეიძლება განთავსდეს ინფოგრაფიკაში დამოკიდებულია მონაცემებზე.

დანართი 11. ინდიკატორის ცვლილება

ინდიკატორის დასახელება რომლის შეცვლასაც აპირებთ (ასევე მიუთითეთ ინდიკატორის ნომერი)					
პრიორიტეტული სფერო:					
ამოცანა:					
მიზეზი:					
დასაბუთება:					
თარიღი:					
ახალი ინდიკატორის დასახელება					
პრიორიტეტული სფერო:					
ამოცანა:					
მიზეზი:					
დასაბუთება:					
თარიღი:					
სამიზნე მაჩვენებლის შეცვლა:		2018 წელი	2019 წელი	2020 წელი	სამოქმედო გეგმის დასასრულს
	განახლებული სამიზნე მაჩვენებელი				
	პირველადი სამიზნე მაჩვენებელი				
სამიზნე მაჩვენებლის დასაბუთება:					
თარიღი:					

დანართი 12. შესრულების ინდიკატორის ჩარჩო (ევროპული გამოცდილება)

ბოლო რამდენიმე წელია, ევროკავშირის ქვეყნები სოფლის განვითარების პოლიტიკას ერთიანი მიდგომისა და მეთოდოლოგიის მიხედვით ახორციელებენ. ამ მიდგომის უმნიშვნელოვანესი ნაწილია შესრულების ინდიკატორების განსაზღვრა სოფლის განვითარების გეგმის განხორციელების წარმატებით შესრულების შეფასების მიზნით, რაც პირდაპირ უკავშირდება ევროკავშირის სოფლის განვითარების გეგმების დაფინანსების პოლიტიკას. დამატებით, შესრულების ჩარჩო განსაზღვრავს შესრულების რეზერვის თანხის განთავსების და ბიუჯეტის შუალედური შესრულებისთვის თანხის გადახდის საკითხს. მაგალითად, 2014-2020 სოფლის განვითარების პოლიტიკის შესრულების განხილვის პროცესს ევროკავშირი გეგმავს 2019 წელს შესრულების ჩარჩოს და წლიური ანგარიშის მიხედვით. ევროკავშირის წევრი ქვეყნების შესრულების ჩარჩო მოიცავს ინფორმაციას როგორ საბიუჯეტო, ასევე ინდიკატორების შესრულების შესახებ.

ევროკავშირი წევრის სახელმწიფოებისთვის განსაზღვრავს შემდეგ წესს, პრიორიტეტი ჩაითვლება შესრულებულად:

- თუ შესრულების ჩარჩოს მიხედვით პრიორიტეტი იზომება არა უმეტეს 2 ინდიკატორის და ყველა ინდიკატორის შესრულება არის სულ მცირე 85% 2018 წლის ბოლომდე დაგეგმილ მაჩვენებელთან მიმართებაში

  ან

- თუ შესრულების ჩარჩოს მიხედვით პრიორიტეტი იზომება სამი ან მეტი ინდიკატორით და ყველა ინდიკატორიდან მინიმუმ ერთის შესრულება არის სულ მცირე 85% 2018 წლის ბოლომდე დაგეგმილ მაჩვენებელთან მიმართებაში და თუ ყველა ინდიკატორიდან ერთი ვერ შესრულდა 85%-ით, მაგრამ შესრულდა 75%-ით დაგეგმილთან მიმართებაში.

ევროპული გამოცდილება ინდიკატორების შესრულების დროს ყურადღებას აქცევს საბიუჯეტო წყაროებს და აფასებს დაგეგმილ მაჩვენებელთან მიმართებაში შესრულებას თითოეული საბიუჯეტო წყაროს და რეგიონის მიხედვით.

თუ ვერ ხდება დაგეგმილი ღონისძიების შესაბამისი პროცენტული მაჩვენებლით შესრულება, შეიძლება დღის წესრიგში დადგეს სამიზნე მაჩვენებლის შეცვლის და თანხის სხვა პრიორიტეტებში გადატანის საკითხი (შეიძლება ეს მოხდეს როგორც პრიორიტეტის შიგნით, ასევე სხვა პრიორეტებში გადატანით). წევრ სახელმწიფოებსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობას შესაბამისი დებულება აწესრიგებს.

ევროკავშირის რეგულაცია, ასევე განმარტავს რა შემთხვევაში შეიძლება მოხდეს დაფინანასების შეჩერება, როცა:

- პრიორიტეტის შესრულება დაგეგმილ მაჩვენებლებთან აჩვენებს რომ სერიოზულია ჩავარდნა, შეფერხება, ყველა მიმართლებით ფინანსურ, მყისიერი შედეგების ინდიკატორების და მნიშვნელოვანი ღონისძიებების შესრულების დროს შესრულების ჩარჩოში.
- პრიორიტეტის შესრულება დგას ჩავარდნის ან საფრთხის წინაშე იმ შემთხვევაში:
  - თუ შესრულების ჩარჩოს მიხედვით პრიორიტეტი იზომება არა უმეტეს 2 ინდიკატორით და ორივე ინდიკატორი ვერ შესრულდა სულ მცირე 65%-თაც 2018 წლის ბოლომდე დაგეგმილ მაჩვენებელთან მიმართებაში

ან

- თუ შესრულების ჩარჩოს მიხედვით პრიორიტეტი იზომება 2-ზე მეტი ინდიკატორით და აქედან სულ მცირე ორი ინდიკატორი ვერ შესრულდა 65%-თაც 2018 წლის ბოლომდე დაგეგმილ მაჩვენებელთან მიმართებაში.

თუ პრიორიტეტის განხორციელებისთვის თანხები განსხვავებული ფონდებიდან მოდის ან რეგიონიდან, ასევე ცალკე უნდა შეფასდეს დაგეგმილი მაჩვენებლის შესრულება ამ ცვლადების მიხედვით.შეფასების პროცესში განხილვა არ ხდება ამოცანის ინდიკატორების დონეზე.

- თუ ნათელია, რომ შეფერხება განპირობებულია შესრულების ხარისხით.
- ევროკავშირმა მიაწოდა ინფორმაცია წევრ სახელმწიფოს მმართველ ორგანოს შესრულების ხარისხის შესახებ. მაგალითად, ევროკავშირს შეუძლია წლიური ანგარიშის მიღების შემდეგ შეხვდეს წევრ სახელმწიფოს პროგრამის განხორციელების შესახებ.
- თუ წევრმა ქვეყანამ არ მიიღო შესაბამისი ღონისძიებები სიტუაციის გამოსწორების მიზნით.

გადახდასთან დაკავშირებული შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება პრობლემის გამოვლენიდან 5 თვის განმავლობაში. შეჩერების გადადება შეიძლება მოხდეს, თუ წევრი სახელმწიფო დაიწყებს სიტუაციის გამოსწორებისთვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებას. თუმცა, გადახდის შეჩერების და აუცილებელი ღონისძიებების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება შემთხვევიდან გამომდინარე.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ქვეყნები ძირითადად შესრულებას აფასებენ მყისიერი შედეგების მქონე ინდიკატორების მეშვეობით. ევროკავშირი წევრი ქვეყნებისშესრულების ინდიკატორების გეგმის განხორციელების პერიოდში ორჯერ ამოწმებს (ეს დამოკიდებულია მათი შესრულების ჩარჩოზე).

დანართი 13: ევროკავშირის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD Georgia III) ლოგიკური ჩარჩო

ინდიკატორების სიაში მოცემულია პირდაპირი და გამოწვეული შუალედური შედეგები და ყველა სხვა ინდიკატორი. სამიზნე და საბაზისო მაჩვენებლები შეიძლება განახლდეს განხორციელებისას დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების შესწორების გარეშე. შედეგების ინდიკატორების ცხრილი გაწერილია დამხარების ხანგრძლივობის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში ინდიკატორების მეშვეობით შედეგების წარმატების გაზომვისთვის ანგარიშგების მიზნიდან გამომდინარე შეიძლება დაემატოს ახალი სვეტები შუალედური სამიზნეების განსაზღვრისთვის.

	შედეგების კავშირი	**ინდიკატორები**	**საბაზისო მაჩვენებელი (მითითებული წლის ჩათვლით)**	**სამიზნე მაჩვენებელი (მითითებული წლის ჩათვლით)**	**წყაროები და შემოწმების საშუალებები**
საერთო მიზანი:	დაეხმაროს საქართველოს მთავრობას სიღარიბის აღმოფხვრაში, მდგრად და ინკლუზიურ ზრდაში, კონსოლიდაციას და დემოკრატიული და ეკონომიკური მმართველობის გაუმჯობესებაში	სოფლად აბსოლუტური სიღარიბის შემცირება	21,3% (2016)	შემცირდება მინიმუმ 20%-მდე (2020)	საქსტატის სტატისტიკა
კონკრეტული ამოცანები: შედეგები	ზრდა და განვითარება არის ინკლუზიური და მდგრადი, და მიზნად ისახავს დასაქმებისა და საარსებო საშუალებების შექმნას ღარიბი და მარგინალური ფენისათვის.	სოფლად საშუალო ყოველთვიური შემოსავლის გაზრდა	924 ლარი (2016)	1,024 ლარზე მეტი (2020)	საქსტატის სტატისტიკა
		უმუშევრობის დონის შემცირება (ჩაშლა სქესის და სოფლის/ქალაქის მიხედვით)	8.8% ქალი 14.2% კაცი 21.1% ქალაქი 5.0% სოფელი (2016)	შემცირდება მინიმუმ 12 %-მდე (2020) (საბაზისო მაჩვენებლების დროს შეთანხმებული ჩაშლილი სამიზნეები)	საქსტატის სტატისტიკა
		პროფესიული განათლების (VET) კურსდამთავრებულთა პროცენტული (თვით) დასაქმება ჩაშლილი სქესის, ეკონომიკური და სხვა მოწყვლადობის მიხედვით	47% (2015)	მინიმუმ 57%-ით (2020)	განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კვლევა; 2018-2020 სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების ერთიანი სისტემის მონაცემები

გამომწვევი შუალედური შედეგები	ეროვნულ და რეგიონულ სისტემებსა და ინსტიტუციებს შესწევთ უნარი მიაღწიონ პროდუქტიულობის ისეთ სტრუქტურულ ტრანსფორმირებას რომელიც იქნება მდგრადი, და ორიენტირებული დასაქმებასა და შემოსავლებზე	არასასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმებულთა პროცენტული მაჩვენებელი, სოფლად საერთოდ დასაქმებულთა რაოდენობასთან მიმართებაში იმ ახალი სახელმწიფო პროგრამების, სისტემების, ინსტიტუციონალური ღონისძიებების რაოდენობა, რომელიც განაპირობებს ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე, დასაქმებისა და საარსებო საშუალებების გენერირებას / გაძლიერებას	26.6.% (2016) სამი ახალი სახელმწიფო პროგრამა (2014)[32]	მინიმუმ 28% (2020) მინიმუმ 2 ახალი სახელმწიფო პროგრამა სოფლის განვითარებაში (2020)	საქსტატის სტატისტიკა 2018-2020 სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების ერთიანი სისტემის მონაცემები
	სოფლის განვითარების სტრატეგიის განხორციელების მიზნით გაუმჯობესებული ინსტიტუციური შესაძლებლობები	ცოდნის და უნარების დონე სოფლის განვითარების პოლიტიკისა და განხორციელების მექანიზმების მიმართულებით საჯარო სექტორსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის.	2016 წელს არსებული სიტუაცია	სოფლის განვითარების შესახებ გაზრდილი ცოდნისა და უნარების დონე (2020)	2018-2020 სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების ერთიანი სისტემის მონაცემები
	შედეგების კავშირი	**ინდიკატორები**	**საბაზისო მაჩვენებელი (მითითებული წლის ჩათვლით)**	**სამიზნე მაჩვენებელი (მითითებული წლის ჩათვლით)**	**წყაროები და შემოწმების საშუალებები**
პირდაპირი შუალედური შედეგები	გაუმჯობესებული სოფლის ეკონომიკური დივერსიფიკაცია, დასაქმება და მომსახურება	პროგრამის მხარდაჭერის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო სექტორში შექმნილი სამუშაო ადგილების საერთო რაოდენობა, ჩაშლილი სქესის მიხედვით	ნულოვანი (2016)[33]	სამიზნე შეთანხმდა საბაზისო მაჩვენებელის განსაზღვრის დროს (2020)	საბაზისო ანგარიშის მონაცემები, საქსტატის სტატისტიკა, 2018-2020 სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების ერთიანი სისტემის მონაცემები
		პროგრამის მხარდაჭერის ფარგლებში იმ ადამიანების რიცხვი, რომელთაც ისარგებლეს სოფლის საკონსულტაციო მომსახურებით და გაიუმჯობესეს პროფესიული უნარ-ჩვევები, ჩაშლილი სქესის მიხედვით	ნულოვანი (2016)	სამიზნე შეთანხმდა საბაზისო მაჩვენებელის განსაზღვრის დროს (2020)	საბაზისო ანგარიშის მონაცემები, საქსტატის სტატისტიკა, 2018-2020 სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების ერთიანი სისტემის მონაცემები

[32]მათ შორის, კერძო სექტორის განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო სესხების პროგრამების (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო), კოოპერატივების, სასოფლო საკონსულტაციო სამსახურებისა და აწარმოე საქართველოში (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო), სსიპ „აწარმოე საქართველოში“ და სსიპ „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო“ პროგრამების მხარდაჭერა.

[33]საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტი გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის "სოფლის განვითარების მხარდაჭერა საქართველოში" და სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) უზრუნველყოფს საბაზისო კვლევების ჩატარებას საბაზისო მაჩვენებლების გამოკვეთის მიზნით.

	გაზრდილი კონკურენტუნარიანობა სოფლის მეურნეობაში	პროგრამის მხარდაჭერის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული დამატებითი ღირებულება ჰექტარზე	ნულოვანი (2016)	სამიზნე შეთანხმდა საბაზისო მაჩვენებელის განსაზღვრის დროს (2020)	საბაზისო ანგარიშის მონაცემები, საქსტატის სტატისტიკა, 2018-2020 სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების ერთიანი სისტემის მონაცემები
		ფერმერთა მიერ პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სურსათის ხარისხის სქემების რაოდენობა	ნულოვანი (2016)	სამიზნე შეთანხმდა საბაზისო მაჩვენებელის განსაზღვრის დროს (2020)	საბაზისო ანგარიშის მონაცემები, საქსტატის სტატისტიკა, 2018-2020 სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების ერთიანი სისტემის მონაცემები
	გაუმჯობესებული გარემო, ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა და კლიმატის ზემოქმედება	სასოფლო-სამეურნეო და ტრადიციული ეკოსისტემების იმ ჰექტრების რაოდენობა, სადაც პროგრამის დახმარებით უზუნველყოფილია მდგარდი მართვის სისტემები.	ნულოვანი (2016)	სამიზნე შეთანხმდა საბაზისო მაჩვენებელის განსაზღვრის დროს (2020)	საბაზისო ანგარიშის მონაცემები, საქსტატის სტატისტიკა, 2018-2020 სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების ერთიანი სისტემის მონაცემები
		ტყისა და დაცული ტერიტორიების იმ ჰექტრების რაოდენობა, სადაც უზრუნველყოფილია მდგრადი მართვის მიდგომები	ნულოვანი (2016)	სამიზნე შეთანხმდა საბაზისო მაჩვენებელის განსაზღვრის დროს (2020)	საბაზისო ანგარიშის მონაცემები, საქსტატის სტატისტიკა, 2018-2020 სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების ერთიანი სისტემის მონაცემები.